1

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა:

- თქვენს მომავალ ნაშრომში უნდა აისახოს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა ყოველდღიური საქციელის ასპექტების ასახვა და გამომჟღავნდეს კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ მის დამოკიდებულებას ცხოვრების პირობებისადმი. საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების იმ მხარეებში, რომელსაც ამჟამად გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე აქამდე, პატარა ადგილს როდი იჭერს ყოფა-ცხოვრება, წარმოების გარეთა სფერო ადამიანის საქციელსა და მოქმედებაში. ასანთი ხომ არა გაქვს?

მე ჩემი ბედი... - არა მქონდა.

- ერთის მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, - განაგრძო მერე ხელმძღვანელმა, - და ამასთანავე თანამედროვე ეტაპზე ყოფა-ცხოვრებითი მოვლენების სრულყოფა...

- გავალ, გიშოვნით...

- არა, არა, მაინც განებებას ვაპირებ და... ადამიანის ცხოვრებისეულ მოქმედებაში წარმოების გარეთ, მისი საქციელი ყოველდღიურ საქმიანობაში თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება მის ყოფა-ცხოვრებაში. და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს მის თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეორე - რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება ადამიანზე სასარგებლოდ ზემოქმედების მნიშვნელოვანი მექანიზმების გამოვლენაში მთლიანად; დაა, მესამე - რომ ეს სფერო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე ეკონომიური და სოციალური განვითარების სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტები.

პატარა ხანს შეჩერდა და მე ვთქვი:

- დიახ.

- თავისუფალი დროის გამოყენების შესწავლა ამ კუთხით, - განაგრძო მერე ხელმძღვანელმა, - ძალიანაც აქტუალურია, და მისი გადამუშავება წარმოადგენს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ ინტერესსაც ერთსა და იმავე დროს. რასაკვირველია, ერთი წლიური თემისათვის ეს თემა საკმარისზე მეტად ფართოა. ამიტომ საკითხი ასე უნდა დავაყენოთ: თქვენ უნდა შეისწავლოთ ყოველდღიური წარმოების გარეთა საქციელი და მისი დამოკიდებულება ცხოვრებისეული პირობებისაგან და უნდა შემოვიფარგლოთ გარკვეული პროფესიის ადამიანების კონკრეტიზირებით, ხოლო პროფესიის არჩევა თქვენთვის მომინდია. იმედია, გამიგეთ.

- როგორ არა.

- ხოლო რაც შეეხება იმ კითხვებს, რომლებიც თქვენ უნდა დაუსვათ თქვენს მიერ არჩეული პროფესიის ადამიანებს, ესე იგი, რესპოდენტებს, აი ამ ხუთ გვერდზეა მოცემული. მათი პასუხები უნდა იყოს მკაფიო, მოკლე და ამოწურული.

- ერთდროულად?

- რასაკვირველია. ხოლო თუ წააწყდებით რაიმე გაუგებრობას, გართულებას, ყოველთვის შეგიძლიათ მომმართოთ... სამსახურის საათებში. გუშინ დაცვაზე იყავი?

- კი.

- როგორ ჩაიარა?

- ისე, ჩვეულებრივად.

- ბევრი ხალხი იყო?

- არა უშავს, კი.

- შენიშვნები ბლომად ჰქონდათ?

- არა, არც ისე... შიგადაშიგ.

- ჰო, კინაღამ დამავიწყდა, - გაახსენდა ხელმძღვანელს - აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალურ-ეკონომიურ ფაქტორს რესპოდენტთა კეთილდღეობისა თუ საქმიანობის გამოვლენაში მთლიანად.

2

იმავ საღამოს ანკეტა გადავათვალიერე, ყოველი შეკითხვა გასაგები, მარტივი და ამასთანავე საინტერესო იყო - მე მიყვარს ჩემი დარგი. უფრო სწორად, მომწონს - შეკითხვების დასმა უცნობი ადამიანებისათვის, ახალი გუნება-განწყობანი, ხანდახან ფარული ჰუმორი, მაგრამ, რაც მთავარია, ენერგია, ენერგია, მიზანდასახულობა, ყველაფერია ერთად. ვის რას მოსწონს, ანდა პირიქით, ესე იგი - რა არ მოსწონს, ერთი ერთს ამბობს, სხვა - მეორეს, მესამე - მეოთხეს და შენ კი იწერ, იწერ, მიდის საქმე. მაგრამ მეორე დღეს, დილით, რესპოდენტთა პროფესიის შერჩევა გამიჭირდა. ქარხნები - ხმაურიანია და თანაც დაღლილი ადამიანები ამომწურავად არ გპასუხობენ, გამყიდველებს სადა სცალიათ - ათასგვარ სურსათ-სანოვაგეს სწონიან, სახლებში კი ვერ ჩამოუვლი, რასაკვირველია; მძღოლები შენთვის ვერ დაკარგავენ ძვირფას დროს, ექთან-ექიმთა რესპოდენტობა გამორიცხულია, რადგან ისინი ხანდახან დილიდან საღამომდე მორიგეობენ, მე კი მაინტერესებს ისეთი პროფესიის ხალხი, რომლებიც მუდამ ერთსა და იმავე დროს იწყებენ და ამთავრებენ სამუშაოს. კარგა ხანს ვიწვალე, და გონებას ისევ მზერამ აჯობა - ერთ წყნარ ქუჩაზე ფოტოვიტრინას მოვკარი თვალი. ოო, სწორედ ეს გამომადგებოდა - ფოტოგრაფები უმთავრესად ხალისიანი, მოლაპარაკე ხალხია, და თმადავარცხნილი მუშტრის მოლოდინში დროც საკმარისი აქვთ, ანკეტა რომ საფუძვლიანად შეივსოს. ამასთანავე ისინი რეალურად უყურებენ ცხოვრებას, ყოველივეს ზუსტად მაფიქსირებელი ფოტოობიექტივის საშუალებით, მე მხნედ შევაღე კარი, შევაბიჯე, ვთქვი: „გამარჯობათ“, მომესმა სასურველი „გაგიმარჯოს“, ვკითხე: „გცალიათ?“ - იმან კი მითხრა: „მა რისთვისა ვარ“, მაგრამ ჩემი მისვლის მიზეზი რომ ავუხსენი, ცოტათი შეცბა. თავით-ფეხამდე შემათვალიერა, მე კი ვცდილობდი ვყოფილიყავ მის თვალში გულღია, სასიამოვნო ახალგაზრდა კაცი, ჰალსტუხი გავისწორე და გაუღიმე წრფელი ადამიანის ღიმილით, იმას კი გვერდზე გადაეხარა თავი და შემომცქეროდა მე, სრულიად უცხოს, ვისაც მაინტერესებდა მისი თავისუფალი დრო. და სანამ მდგომარეობას გაამწვავებდა ერთის მხრივ ბუნებრივი შეკითხვით „რა თქვენი საქმეა“, სწრაფად ავუხსენი, რომ ვარ ისეთი კომპეტენტური დაწესებულებიდან, როგორიცაა ჩვენი, და რომ უნდა ჩამოვუარო მისი პროფესიის ადამიანებს, რათა გავიგო, თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს, უყვართ თუ არა კინო, სპორტი, ან ტელევიზია, როგორია მათი ოჯახური

მდგომარეობა, კომუნალური პირობები, და სხვა, და სხვა, და მხოლოდ ორჯერ რაღაც შეუტოკდა სახეზე, როცა ვახსენე გამოთქმა „სხვადასხვა ორგანოები“ და სიტყვა „ინსტანცია“, მაგრამ მაშინვე შევცვალე ლექსიკა, რაც ესოდენ საჭიროა ამგვარ შემთხვევაში და უბრალო რიგითი სიტყვებით ავუხსენი, რომ ანკეტები დაგვეხმარება ჩვენ, მკვლევარებს, გავიგოთ მისი მისწრაფებანი თუ შენიშვნები, და ყოველივე ეს ხელს შეგივწყობს მათი შემდგომი ცხოვრების შეძლებისდაგვარად უკეთესად მოწყობისათვის, აღმავლობისათვის და იგი მაშინვე შეიცვალა, რადგან ამოისუნთქა და თქვა: „აგაშენა ღმერთმა“.

ჩვენ ვსაუბრობდით კარგად, გულწრფელად, კმაყოფილი ლამაზმანების სურათების გარემოცვაში, რესპონდენტი მპასუხობდა მკაფიოდ, სხარტად, მე დროდადრო ვხუმრობდი და ის რომ იცინოდა, ჰალსტუხს ვისწორებდი, რატომღაც მიყვარს ჰალსტუხის წვალება, ალბათ იმიტომ, რომ ისიც მაწვალებს, მაგრამ ჩვენს საქმეში ჰალსტუხი - აუცილებელია, ყოველ შემთხვევაში მე ასე მწამს, რესპონდენტის კი სწამდა, რომ მსუბუქი მუსიკა სჯობს კლასიკურს, ხოლო სპორტული გადაცემა - ინტერვიუს სოფლის მეურნეობის მუშაკთან, რომ გრძელ რიგში დგომა არაა მაინცდამაინც სასურველი და გაჭედილ ტრამვაიში ფეხისწვერებზე დგომას გაცილებით ურჩევნია ნახევრადცარიელ ტრანსპორტში ფანჯარასთან მიყუჟვა და კერძო ავტომანქანების ნომრების თვალიერება - რომელია უფრო ბედნიერი, სულ რაღაც თხუთმეტიოდე წუთში ანკეტა შევსებული იყო წესითა და რიგით, გზადაგზა ერთმანეთს ვუამბეთ ორიოდ მხიარული ანეკდოტი, ოღონდ ჩემები - სჯობდა, და კიდევ უფრო გამიადვილდა მეორე ანკეტის შევსება სამიოდ კვარტლით მაღლა, ბაღთან, რადგან იმ ფოტოგრაფთან ჩემით მოხიბლულმა პირველმა რესპოდენტმა მოკლე ბარათი გამატანა - „მიშა, ამ ბარათის მომტანი ჩვენი კაცია“. სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო მესამე ანკეტაც, რომელიც უზომოდ მოწყენილი ფოტოგრაფის მოკლე პასუხების მიხედვით შევავსე. მერე ავედი სამსახურში, ხელმძღვანელთან, „როგორაა საქმეები, ა“, მკითხა იმას, „მშვენივრად, - ვუპასუხე მე, - უკვე შევუდექი“. „კაი, კაცო“, გაუკვირდა და მხარზე მეგობრულად დამკრა ხელი. ძალიან კარგია, როცა ხელმძღვანელი არის ასეთი ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი, ათლეტი, როგორც იტყვიან, და ამასთანავე ზომიერადაა აყოლილი მოდას - ოდნავ, ძალიან ოდნავ ჩამოგრძელებული ბაკენბარდებით, ასევე წელში ოდნავ გამოყვანილი პიჯაკითა და ოთხკუთხაცხვირიანი ფეხსაცმელებით, გულის გარეთა ჯიბეში კი - ჰალსტუხის ფერის იდენტური ცხვირსახოცი. ანკეტებს ათვალიერებდა, „კარგად გიმუშავია, კარგად, - თქვა ხელმძღვანელმა, - ოღონდ კომუნალური პირობები ორ ჯგუფად კი არ უნდა დაგეყო, როგორც ეს შენა გაქვს აღნიშნული - კარგ და ცუდ ქვეჯგუფებად, არამედ სამად - პირველი: უზრუნველყოფილნი ყველა კომუნალური მომსახურებით, როგორიცაა - წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალური გათბობა, გაზი, აბაზანა ან შხაპი და ცხელი წყალი; მეორე: უზრუნველყოფილნი ძირითადი კომუნალური მომსახურებით, როგორიცაა წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, ცენტრალუტი გათბობა და მესამე - უკანალიზაციოები, ისე კი, კარგად გიმუშავია, ასე თუ განაგრძობ, ძალიან კარგი იქნება, აბა, შენ იცი, როგორ არიან თქვენები?..“ ასე გულთბილად მესაუბრებოდა, გადასწვდა სხვადასხვა ამბებს, მშვენიერ გუნებაზე იყო, მაგრამ მერე, არ ვიცი, რა გაახსენდა, პატარა ხანს ჩაფიქრდა, მზის საწინააღმდეგო სათვალე გაიკეთა, მკერდზე დაიბჯინა ნიკაპი და მკაცრად თქვა:

- და როგორც უკვე გითხარით, თავისუფალი დროის გატარება ორი რიგის მაჩვენებლებით ხასიათდება: ა - საქმიანობის ჩამოთვლით, საქციელის სახეობებით დაა, ბე - მონაცემებით ხანგრძლივობის, ინტენსიობისა და ასე შემდეგ ამ საქმიანობათა რაოდენობრივი პერიმეტრების.

3

ასე იყო თუ ისე, მშვენივრად აეწყო საქმე, მაგრამ მომდევნო დღეს, ხუთშაბათს, დილაადრიან, სწორედ იმას გადავაწყდი, ვინც გამამწარა და რაღა გადავაწყდი - ჩემივე ფეხით შევაბიჯე იმ დასაწვავ ფოტოკაბინეტში. არც გაუგია ჩემი შესვლა, სადღაც შორს, გადაკარგულში იციქრებოდა. თვალები უელავდა, მინის მაგიდას დაყრდნობოდა და, წინგადახრილი, ისე დაჟინებით იყურებოდა ჩემი სხეულის გავლით სადღაც, ძალიან, ძალიან შორს, თითქოს მეც მინისა ვიყავ და მაშინვე ტანმა მიგრძნო, რაღაც ხიფათს რომ შემამთხვევდა, მაგრამ მაინც ჩავახველე და რომ გამოერკვა, დაბნეულმა გამიღიმა და მითხრა: - მობრძანდით, მობრძანდით, პასპორტისთვის თუ...

მაშინ მე გეგმაზომიერად დავუწყე ახსნა, რისთვისაც მივედი, ყურადღებით მისმენდა და ეტყობოდა, მყისვე რომ ხვდებოდა ყველაფერს, მაგრამ მაინც გამაწყვეტინა:

- ბოდიში, თქვენ თავად გადასწყვიტეთ თუ... - და დააყოლა: - ღმერთო, როგორ მაგონებთ ვიღაცას...

- არა, ხელმძღვანელმა გამომგაზავნა.

- მაპატიეთ, მაგრამ... უნდა ვიცოდე, ვინაა ის ხელმძღვანელი, რა კაცია... ნეტავ ვის ჰგავხართ...

- რა, ხელმძღვანელი აქ მოვიყვანო? - ჰუმორით ვკითხე, თუმცა უკვე ოდნავ გაღიზიანებულიც ვიყავ.

- არა, არა, მოყვანა რა რაჭიროა, ორიოდ სიტყვით დაახასიათეთ, წარმოდგენა რომ მქონდეს, ფაქტიურად ვისთან მაქვს საქმე...

- აბა, როგორ გითხრათ... ახალგაზრდა კაცია, ახოვანი, ენერგიული, თანამედროვე... ახალგაზრდობის მიუხედავად, რამდენიმე თანამშრომელი მიგვაბარეს და ჩვენთან მუშაობა ძალიან კარგად დაიწყო.

- ძალიან კარგად დაიწყო? - გამაწყვეტინა.

- დიახ! - და გაბრაზებულმა გავუმეორე, - ძა-ალიან კარგად დაიწყო.

- ეჰ, - თქვა კაცმა და მოიწყინა, - მარშალმა ედმონდო ბეტანკურმაც ძა-ალიან კარგად დაიწყო, მაგრამ მერე როგორც დაამთავრა, მშვენივრად ვიცით...

- ვინ მარშალი, რას ამბობთ... - შევკრთი მე.

- ვინ და ბეტანკური, აბა აურელიანო-სქელს ხომ არ... - და შუბლზე შემოირტყა ხელი, - უჰ, აქამდე როგორ ვერ მივხვდი - თქვენ ძალიანა ჰგავხართ აურელიანო-სქელს, სანამ გასუქდებოდა, - და გაიოცა: - ბიჭო, ბიჭო, როგორა ჰგავს?!

- ვინ სქელს, რა სქელს... - ავღელდი მე.

- ვის და მარშალის ბიძაშვილს, აი, დიეგომ რომ გამოიჭირა... ვერ გაიხსენეთ?.. ეულალიას ქმარი! ჰმ!.. ზუსტად ისეთივედ წარმომედგინა ყმაწვილკაცობაში, როგორიც ახლა თქვენა ხართ, სანამ ძალიან გასუქდებოდა... რა უცნაური დამთხვევაა... მეც არა ვთქვი, სად შემხვედრია-მეთქი?

და, წარმოგიდგენიათ? - მკითხა:

- თქვენ ახსნით ამას?

თვალები აუციმციმდა, „გიჟია თუ რა?“ - ერთი კი გავიფიქრე, მაგრამ გიჟები ხომ არ მსახურობენ, რასაკვირველია, და მკაცრად დავეკითხე:

- როგორ ბედავთ სამსახურში... ნასვამ მდგომარეობაში, ჰა!

- მე? მე და ნასვამი?! - გაიოცა და უცებ საყვედურით შემომაცქერდა, - ააა, მივხვდი, თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წაგიკითხავთ, არა, ხომ?

- არა, - მივუგე, - ბოლოს და ბოლოს, თქვენ შეგიძლიათ, პასუხი რომ გამცეთ კითხვებზე?

- სიამოვნებით, სიამოვნებით... ბოდიში, და არც ანსელმოიანი რომანი? ლადოსასი, მარიო ვარგასის...

- ა... არა.

- და... კორტასარი?

- ეეე... არა.

მეგონა, გამკიცხავდა, მაგრამ შურით ამათვალიერა:

- ბედნიერი კაცი ყოფილხართ!

- რატომ?

- რატომ და წინ ისეთი დიდი ბედნიერება გელით, მე კი ეს ბედნიერება უკვე განვლილი მაქვს. ეეჰ...

- რა ბედნიერება?

- პირველად წაკითხვის. ესე იგი, თქვენ სამხრეთ...

- ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, - ვეღარ მოვითმინე, - თუ არა ვცდები, რესპონდენტი თქვენა ბრძანდებით და არა მე.

- რესპონდენტი რა არის? - მსუბუქად დაინტერესდა.

- ვისაც ეკითხებიან.

- აა, და თქვენ კი გემატებათ „კო“? ოღონდ თავში - კორესპონდენტი...

- არა, არა, მე - ინტერვიუერი ვარ.

- კი ბატონო, მკითხეთ.

მაგრამ აქ კაბინეტში ვიღაც მორცხვი კლიენტი შემოიძურწა. რესპოდენტმა ბოდიში მომიხადა, კლიენტს - პალტო გაახდევინა, დასვა, თავი აუწია, გაახედა, გამოახედა, ჰალსტუხი შემიხსნა, იმას მოარგო კისერზე, ოთახი ძალიან გაანათა, უზარმაზარ აპარატში შეჰყო თავი, კლიენტს ნიკაპი ააწევინა, ობიექტივს რაღაცა მოარგო, მერე მოხსნა, თქვა: ჰოპ!“ - და ჰალსტუხი ისე უხერხულად შეხსნა, ყულფი დაშალა. უღრმესი მადლობით დამიბრუნა, მაგრამ ვეღარ გავიკეთე, რადგან ჰალსტუხის განასკვა არ ვიცი, დილაობით ძმასა ვთხოვ ხოლმე. რესპოდენტმა კი მწუხარედა თქვა: „მეც რომ არ ვიცი?“ პალტოს ცალ სახელოში მლავგაყრილ, გვერდზე გადახრილ კლიენტს უთხრა: „ხვალ არა, ზეგ“, ქვითარი გამოწერა, მიაჩეჩა, გადაახდევინა „ბ“ - ოთხმოცი კაპიკი, გაუღიმა - „კარგად იყავი, გენაცვა“, და მომიბრუნდა, თავით ფეხამდე მზადმყოფი:

- ბოდიში, მაგრამ სამსახურის საათებია და... აბა, შევუდგეთ.

ანკეტიდან ხელის ზურგით განზე გადავაჩოჩე ჰალსტუხი და შევუდექი:

- გვარი!

- კეჟერაძე.

- სახელი!

- ვასიკო.

- ვასილი?

- დიახ, დიახ, - შეცბა, - მაპატიეთ, „კო“ - ეს ხომ თქვენია - კორესპონ...

- კორესპონდენტი არა ვარ-მეთქი! - მკაფიოდ გავუმეორე, - არამედ ინტერვიუერი, გასაგებია? დაბადების წელი!

- ოცდაცხრა.

- ათას ცხრაას... არა? - ჰუმორით ვკითხე.

- რასაკვირველია.

- სქესი!

- ვასილი მქვია, - იმანაც ჰუმორით მომიგო.

ჩავწერე, „მამრ...“

- პროფესია...

- მხატვრული ფოტოგრაფი.

და პირდაპირ საქმეზე გადავედით, ასე დავეკითხე:

- გიყვართ თუ არა თქვენი საქმე?

აქ კი უგულოდ მიპასუხა:

- ისე, რა...

- რატომ?

იმან კი დაკვირვებით, ოდნავ ნაღვლიანად შემათვალიერა, მიყურა, მიყურა და თქვა:

- მე ძალიან მიყვარს ლიტერატურა.

პატარა ხანს ჩუმად ვიყავით. მერე ვკითხე:

- სპეციალური?

გაეღიმა და თქვა:

- არა, მხატვრული ლიტერატურა.

უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გავიტეხე:

- კი ბატონო, მაგაზედაც მივალთ, მაგ ტიპიტ შეკითხვაც შედის ანკეტაში...

- ااარა, არა, - ისევ გაეღიმა, - მაგაზე კი არ „მივალთ“, არამედ მაგითი იწყება და მაგითი თავდება.

- რა?

- რა და თქვენი შეკითხვები - ჩემისთანა რესპონდენტისათვის.

- რა იცით, ჯერ ეს ერთი, თქვენ?! - სერიოზულად გავცხარდი, - აგერ, მე ახლა უნდა გკითხოთ, თუ როგორია თქვენი ბინის კომუნალური მომსახურების პირობები - ძალიან კარგი, ცუდი თუ საშუალო, და რა შუაში იქნება აქ ლიტერატურა, და ისიც ვიწრო გაგებით - მხოლოდ მხატვრული?

- ჰეე, - ჩაეცინა და ანკეტაში მოურიდებლად ჩაიჭყიტა, - მიუხედავად იმისა, რომ მე არ გამაჩნია ცენტრალური გათბობა, მე მაინცა მაქვს ძალიან კარგი პირობები, თუ გნებავთ კომუნალური უწოდეთ და რაც გინდათ, სხვა.

- ეს როგორ?

- როგორ და მაქვს წიგნების ორი უზარმაზარი კარადა, თაროები, მოხერხებული სავარძელი და ტორშერი - მხარს ზემოთ, ნათურა...

- და ეგ ხომ კომუნალური პირობები არაა?

- გააჩნია ვისთვის... - და უცებ აგდებულად შემომაცქერდა, - ესე იგი, მხატვრული - ეს ვიწრო გაგებითაა, არა?

- დიახ. იმიტომ, რომ არსებობს ლიტერატურა დოკუმენტური, მეცნიერული, პოპულარული, სახელმძღვანელო...

- ბროშურა გამოგრჩა, კარგო...

- თუნდაც, თუნდაც, - არ დავიხიე, შეუპოვრობა - მთავარია - განვაგრძე, - კინოფილმები თუ გიყვართ?

- არა.

- რატომ?! - გავვოცდი.

- დაფინანსებული კონკურენტია.

- ვისი?..

- არ მომწონს-მეთქი - გონებაზე მეტად თვალს ახარებს და იმიტომ.

ჩავწერე „არა“, და მომდევნო შეკითხვა წინა პასუხისა გამო შეუფერებელი აღმოჩნდა, - როგორი ფილმები მოწონთ განსაკუთრებით?

იმან კი მითხრა:

- ტიტრებიანი. გასაგებია?

ჩემზე ნაკლებად არც იმას სცოდნია გაბრაზება. გული მომივიდა, მაგრამ აქ კვლავ შემოვიდა მუშტარი, კაცი კი, რომელმაც თქვა, რომ ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, გარისხებული ჩანდა და უნებურად მუშტარზე იყარა მცირეოდენი ჯავრი - დაჯექ, დაჯეო, ასე უთხრა, და ისეთი ძლიერი სინათლე ჩართო, ნათურები გაბმით აზმუვლდნენ, მერე ნიკაპი მკაცრად აუწია და უცებ მოლბა, თავზე გადაუსვა ხელი, „თქვენ რა შუაში ხართ, ბოდიში, თმა აგწეწიათ ცოტა...“ იმანაც, ერთხანს შემკრთალმა, გულიანად გაუღიმა, შეხმატკბილდნენ, ერთი - გაქვავებული იჯდა, მეორე - აპარატს უტრიალებდა, „ჰოპ“, თქვა რესპოდენტმა, პალტოს ჩაცმაში დაეხმარა, მაგრამ მუშტარი იძახდა: „არა, არა, ჩემით...“ ღიმილითვე გაუწოდა ქვითარი და მუშტარმა ფრთხილად რომ მიიხურა კარი, შევცბი - სულ სხვა კაცი შემომცქეროდა, გამომწვევი, უნდო...

- თუ გნებავთ, ხვალ განვაგრძოთ, ხვალაც ამ კვირისაა, - ჰუმორი მოვიშველიე მე.

- არა, არა, მკითხეთ.

და აქ შევურჩიე კითხვა, რომელსაც არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონოდა მის გატაცებასთან - ასე დავეკითხე:

- მოდაზე რა აზრის ბრძანდებით? როგორი ტანსაცმელი მოგწონთ...

მაგრამ იმან თქვა:

- ფართოჯიბიანი. ისე კი სულ ერთია...

- როგორ თუ ფართოჯიბიანი? რისთვის...

- ნებისმიერი წიგნი რომ ჩაეტიოს.

არა, ეს სულელი იყო, ვიღაცა, და წამოვდექი.

- ბოდიში, მაგრამ... ხელმძღვანელი მიცდის.

- ახოვანი და ენერგიული? რა გაეწყობა, კარგად ბრძანდებოდეთ...

ამრეზილი მათვალიერებდა, სანამ კალმისტარს გულის ჯიბეში ჩავიდებდი, ანკეტას - პორტფელში, და სწრაფად გავეშურე კარისაკენ, მაგრამ დამადევნა:

- აი, ეს დაგრჩათ.

ჰალსტუხი იყო.

- მშვიდობით, მშვიდობით... - და ფრთხილად ჩავიდე პალტოს ჯიბეში, რომ არ დამჭმუჭნოდა.

- იცით რა? - მითხრა, - თქვენ ისევ მოხვალთ...

- არასოდეს! - გავბრაზდი, მთელი საათი დამაკარგინა.

- ვნახოთ, თუ არა...

- რა იცით!

- არ შეიძლება, ასე უსახელოდ რომ დავშორდეთ ერთმანეთს, - ჯერჯერობით ჩვენი საუბარი იუმორისტულ ჟურნალში დაბეჭდილ მასალას ჰგავდა.

- ჩვენ უკეთესი საუბარი არც გამოგვივა! - პირში მივახალე.

- რატომ, რატომ, ჯერ სადა ხართ... აი ნახავთ, უკეთესად თუ არ ავლაპარაკდე.

- მე კი ფეხის დამდგმელი აქ აღარა ვარ და...

- ვნახოთ, - გაეღიმა.

გამწარებული გამოვედი, შუბლზე ხვითქი გადამდიოდა. ოფლის შესამშრალებლად ცხვირსახოცისათვის ჩავიყავი ჯიბეში ხელი, ამოვიღე, მოვისვი კიდეც, მაგრამ სხვა რამ ნივთი ჩანდა...

ჰალსტუხი იყო.

ხელმძღვანელს სვიტერი ეცვა, მშვენივრად ნაქსოვი, ძლიერი სხეული გამოკვეთოდა, გიჟდებიან ქალები - ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილი მაინც. უცხომ რომ შეხედოს, ნამდვილი ათლეტია, მეცნიერი და ასეთი აღნაგობა? საუბარიც რომ დამაჯერებელი აქვს - ტერმინებით აღსავსე, რთული და მახვილი, რანაირი გამოთქმა გინდა იმან რომ არ იცოდეს, ნამდვილი უცხო სიტყვათა ლექსიკონია. ერთი ვერ გამიგია - თუმცა ლამაზი თვალ-წარბი აქვს, მაინც ძალიან უყვარს მზის საწინააღმდეგო სათვალის ტარება, ახლაც უკეთია, სავარძელში ზის, ჩემს მიერ მიწოდებულ ანკეტას კითხულობს და დროდადრო ამბობს: „საინტერესოა, საინტერესოა...“ მე, გაბადრული, ადგილზე ვცმუკავ, ბოლო ანკეტაზეა, საცაა - შემაქებს. ერთი უცნაური ჩვევა მაქვს, დიდად საკვირველი - ძალიან თუ ვღელავ, მეძინება ხოლმე. ერთი ორჯერ გაუგებრობას მივაწერე ეს ინციდენტი, მაგრამ მერე, როცა გახშირდა, ექიმს ვეჩვენე. იმან წერილი გადაიკითხა, გულდასმით გამსინჯა და თქვა, რომ საგანგაშო არაფერია, მსგავში შემთხვევები ცნობილია მედიცინის ისტორიაში, და განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ ეძინებათ მხოლოდ უსიამოვნო ამბის მოლოდინში, სხეული თურმე მექანიკურად გამოირთვება, მაგრამ სასიამოვნო მღელვარების დროს კი არა, როგორც, მაგალითად - ახლა - სრულებითაც არ მერევა თვლემა შექების წინ. ისე, რა თქმა უნდა, თანამშრომლებისთვის არ გამიმხელია ჩემი ეს ჩვევა, ისინი რას გაიგებენ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სხეული თავისთავად, მექანიკურად გამოითიშება ხოლმე მოსალოდნელი საფრთხის წინ, არამედ ერთი ხელის მოსმით დაასკვნიან - ბოთეა - და მორჩა... ხელმძღვანელი ღიმილით მიყურებს, ამბობს: „კარგად გიმუშავია, ყოჩაღ...“ სამი სიტყვა მითხრა, სამივე კარგი - „ყოჩაღ“, „კარგად“ და „გიმუშავია“, - ამდენი როდის მოასწარი, ა?“ მე ვიღიმები, მორცხვად ვხრი თავს, ხელმძღვანელი კი მხარზე მადებს ხელს და ამბობს: „ძალიან კარგად დაგიწყია...“ რაღაც უცნაური ფრაზა მახსენდება, სადღაც გაგონილი, ვიღაცამ მითხრა ახლა, ახლახანს, ენის წვერზე მიტრიალებს, არ მსიამოვნებს კი, და - ჰო, მახსენდება, ის სულელი - ედმონდო რაღაც გვარმაც კარგად დაიწყო, მაგრამ... „ანკეტათა საერთო რიცხვი შესაძლოა ერთით მეტიც ყოფილიყო, - ვეუბნები ხელმძღვანელს, - მაგრამ იმ ერთთან შეუძლებელი იყო მუშაობა...“ „და თავი გაანებე?“ „დიახ“, - გაუბედავად ვპასუხობ, მაგრამ ხელმძღვანელი ამბობს: „კარგად მოქცეულხარ. თუკი რესპონდენტი თავს არიდებს პასუხის გაცემას, შენც მაშინვე თავი უნდა გაანებო და სხვაზე გადახვიდე... რესპოდენტების მეტი რაა?!“ „დიდი უცნაური კაცი იყო, - სახე მეჭმუხნება, მაგრამ მაინც ვუღიმი, - ყველაფერს, ყოველივეს, ერთი კუთხით უდგებოდა, შეუძლებელი იყო მასთან მუშაობა...“ „რომელი კუთხით?“ - მეკითხება ხელმძღვანელი, მხიარულება დასთამაშებს ტუჩებზე. „ლიტერატურულით, და ისიც ვიწრო გაგებით, ყველაფერს მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის კუთხით უდგებოდა...“ „ლიტერატურული კუთხითო, შენ ამბობ? - ოდნავ დაინტერესებული მეკითხება, - ეს როგორ?“ „როგორ და... - ვიხსენებ, - აი, მაგალითად, თქვა, ძალიან კარგ კომუნალურ პირობებში ვიმყოფები, რადგან მაქვს წიგნის კარადები, თაროები და ნათურაო...“ „აჰაჰა, - მოხდენილად იცინის ხელმძღვანელი, - არა სცოდნია, კომუნალური მომსახურება რასაც ნიშნავს... კიდევ?“ „კიდევ... - ვიხსენებ, - ჰო! მოდაზე ვკითხე, როგორი მოგწონთ-თქო, იმან კი - ფართოჯიბიანი, წიგნი რომ ჩაეტიოსო. აბა?!“ „ნუთუ?“ - ამბობს ხელმძღვანელი, - და მე ახლავე აგიხსნით, თუ რატომ“. ოთახში მიდი-მოდის, ბოლთასა სცემს, მე ფეხზე ვდგავარ და თვალს ვაყოლებ - „სწორად უთქვამსო!..“ აჰ, ეს რა მითხრა, რაღაცა უსიამოვნოს მოლოდინში თვლემა მერევა და

უცებ მახსენდება: „დიახ, დიახ, როგორი ფილმები მოგწონთ-მეთქი და ტიტრებიანიო!“ „რატომ...“ „ალბათ იმიტომ, რომ ტიტრებია წასაკითხი...“ და ასე უყვარს ლიტერატურა? ოჰო! - ხელებს იფშვნეტს ხელმძღვანელი, - ეს კაცი არ უნდა დავკარგოთ...“ ისევ ბოლთასა სცემს, „უყურე შენ, - დაფიქრებული მიმზერს, და უცებ კითხვას კითხვაზე მაყრის, - და თქვენ გგონიათ, რომ მასიურ, შაბლონურ პასუხებს გაცილებით არა სჯობს ინდივიდის არსებობა? რომელიც მთელ ამ კომპლექსს პასუხობს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სურვილისდა მიხედვით ამორჩეული საქმიანობის კუთხით? და თქვენ გგონიათ, რომ მხატვრული ლიტერატურა ხელწამოსაკრავია, როგორც ასეთი? რა სჯობია ხანდახან, სიგრილეში, მაგალითად, დიკენსის კითხვას? და განა ლიტერატურა კულტურული დასვენების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არ არის?“ აქ კი ხელმძღვანელი ჩერდება და აშკარად ეტყობა, რომ თავის საკუთარ, მომავალ ნაშრომზე ფიქრობს, რადგან ასეთ დროს თავს სწორედ ასე, ოდნავ გვერდულად და ზემოთკენ შემართავს ხოლმე, და ხდება ჯიუტი, სწორუპოვარი, მუქი სათვალიდან მის გამჭოლ, სუსხიან მზერასა გვრძნობ, და, წარმოგიდგენიათ? - მკაცრად მეუბნება: „დღესვე მიბრძანდით ხსენებულ რესპოდენტთან და შეავსეთ ანკეტა მისი პასუხისა და სურვილის მიხედვით და გახსოვდეთ, რომ ხანდახან საინტერესო ინდივიდის ჩვენებანი შესაძლოა მეტ ინტერესს მოიცავდეს, ვიდრე ათობით ადამიანის მდგრადი პასუხი. მაგრამ მე ჯერ უნდა დავრწმუნდე, რომ იმ კაცს მართლაცდა ზედმიწევნით უყვარს ლიტერატურა, ესე იგი, კულტურული დასვენების ესა თუ ის დარგი და შემდგომ, თუკი მხატვრული ლიტერატურა მართლაცდა მუქ წითელ ხაზად გასდევს მთელ მის ცხოვრებას, უნდა გამოვარკვიოთ - რატომ, - და ოდნავ მოლბა, - აბა, შენ იცი, წადი...“

5

ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ რა მექნა, ასე იყო საჭირო - მივდიოდი კაცთან, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა. დაღმართებში ჩავდიოდი, ქუჩა მოყინული იყო და, კიდევ კარგი, ნახერხი მოეყარათ და ისე ძალიან აღარ მისხლტებოდა ფეხი. მაინც ფრთხილად ჩავდიოდი, და ხანდახან ისე უეცრად წამომივლიდა: „ვისთან მივდივარ! რა ჯანდაბა მინდა!..“ უგუნებოდ ვიყავო, რა სათქმელია - გაამწარებული ვიყავ... და ვიღაც ქალი რომ წაიქცა, ცოტათი გამომიკეთდა გუნება - გავიღიმე. მაგრამ ნაცნობ ფოტოკაბინეტს რომ მივადექი, ისევ ავწრიალდი, გავნერვიულდი, მთქნარება ამიტყდა. ოთახში სინათლე ენთო, ღონე მოვიკრიბე, ენერგიულად შევაღე კარი და შევცბი - არავინ იყო. პატარა ხანს გაოცებული ვიდექ, სანამ მოგუდული ხმა არ შემომესმა: „ახლავე გამოვალ, სურათებს ვბეჭდავ...“ მივაყურე და ვიწრო კარი დავინახე, სწორედ იქიდან მომესმა ხმა. სავარძელზე ჩამოვჯექი, ვიცდიდი. ცუდია, როცა იმას ელოდები, ვისი დანახვაც არ გსიამოვნებს, კელდებს მოვავლე თვალი, სურათებიდან უმთავრესად მე მიმზერდნენ, ზოგს კი განზე ექცია პირი, ანდა თავი ნაზად დაეხარა, ყველაზე მეტად სათვალიანი ბავშვის დაჟინებული მზერა არ მესიამოვნა, მერე მკერდმოღლეტილ ქალს

მივაპყარი თვალი, ის კი განზე გულგრილად იხედება, თვალთმაქცი, აჰ, საცაა რესპონდენტი გამოვა, ვღელავ, ძალიან ვღელავ, სიმძიმე, მძიმე, ქალი ახლა ჩემსკენ იყურება, მაგრამ აღარაფრის თავი აღარა მაქვს, დავმძიმდი, დავმძიმდი, მძიმდი... ვმძიმდები, მდები, თავი გამანებეთ, ვამბობ, თუ ვფიქრობ, აღარც კი ვიცი, ვდუნდები, ის კი არ მეშვება, მხარზე მსუბუქად მადებს ხელს, და ნაზი, შემპარავი ხმა: „იანო, იანო...“ „არა, არა, მცირე ნალექი“, ვამბობ თუ ვფიქრობ, მძიმეა, მძიმე, ისევ მოვეშვი, ვეშვები, ვეშვი... და ისევ ჩემი მხარი, იგივ შემპარავი: „ლიანო, ლიანო...“ თავი დამანებეთ, აღარაფერი მინდა, ოღონდ მომეშვით, მაცალეთ, მაცალეთ, ტროლეიბუსი მსუყედ მისრიალებს ნაწვიმარზე, მცირე ნალექი, ის კი ისევ, ისევ, ოღონდ უფრო ღონივრად და მისი შემპარავი, ეშმაკური „რელიანო, რელიანო“, და ტაშის შემოკვრა, თვალს ვახელ, მე მიყვარს ტაში, თვითონ ვუღებ სურათს, ოღონდ იისფერ ფოკუსში გაორებული და ბუნდოვანი ჩანს, მაგრამ მკაფიოდ მესმის „ურელიანო, ურელიანო...“ და ცხადად ვხედავ, რა ქალი, რის ქალი - რესპონდენტია! ჩამძინებია, უნებურად, რა თქმა უნდა და ის კი მხარს მინჯღრევდა თურმე და მაღვიძებდა: „აურელიანო... მოხვალ-მეთქი, აკი გითხარი, აურელიანო!“

6

რა ახირებული თვისებაა მაინც ორგანიზმისა ეს - მისჯილი დაძინება უსიამოვნო შეხვედრის წინ, და მაინც იხტიბარს არ ვიტეხ, ფეხზე ვდგები, ვამბობ: „წუხელის დიდხანს ვიმუშავე, გათენებამდე წიგნებს ვფურცლავდი...“ „დაბრძანდით, დაბრძანდით, მხატვრულს ხომ არა?“ - მეკითხება რესპონდენტი, ისევ თავისი წამოიწყო, თუმცა, ამით ხომ ჩემს წისქვილზე ასხამს წყალს, ხელმძღვანელის დარიგება მახსენდება, საბოლოოდ ვფხიზლდები, ვამბობ: „განმაგრძოთ შეკითხვები...“ და მყისვე მპასუხობს: „რასაკვირველია, რასაკვირველია... - და ვიწრო კარისაკენ თავს ატრიალებს, იძახის, - შენ მანამ ხსნარი დაამზადე, კლიმ“. ეს კლიმი ვიღაა, ვფიქრობ და მაშინვე მიხსნის: „ასისტენტია ჩემი...“ პორტფელს ვხსნი, ანკეტას მაგიდაზე ვდებ, კალმისტარს ფრთხილად ვიმწყვდევ თითებშუა - ცოტა მელანი გასდის - და ვეკითხები:

- ბევრი თავისუფალი დრო გეკარგებათ?

მპასუხობს:

- იოტისოდენადაც არა.

მიკვირს:

- ეს როგორ?!

იმასაც უკვირს:

- აბა, რატომ უნდა დავკარგო?!

„აა, ვერ მიმიხვდით, - თავაზიანად ვუხსნი, - რა თქმა უნდა, თქვენ არ გინდათ დროის დაკარგვა, მაგრამ ხომ მგზავრობთ ტრანსპორტით, ხომ უნდა შეიაროთ გასტრონომსა თუ მაღაზიაში, ხომ უნდა დაიმზადოთ ვახშამი, ანდა სასადილოში ისაუ...“ და მაწყვეტინებს: „პირიქით, პირიქით, თქვენ ვერ მიმიხვდით - მე ნამდვილად არ დავკარგავ დროს, თუკი დავდგები რიგში, ან თუ ერბო-კვერცხს შევიწვავ, ანდა ტრამვაით თუ ვიმგზავრებ...“

ვღიზიანდები:

- რატომ?

„იმიტომ რომ, - ამბობს, - თქვენ ლიტერატურის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ წიგნის კითხვა გგონიათ? და ყოველივე იმას, რასაც წაიკითხავ, გააზრება არ უნდა? დიდი ამბავი, ტრამვაიში თუ დაჯდები ან დადგები, ყირამალა დგომისასაც კი შეიძლება ფიქრი“. „კი მაგრამ, რაზე?“ „რაზე და რასაც წაიკითხავ, იმაზე... ან, რაც გაგახსენდება...“

ოოხ, ხელმძღვანელი... მაინც განვაგრძობ:

- და თუ ხასიათზე არა ბრძანდებით?

- ჰეე, - ეღიმება, - სწორედ მაშინ უფროა საჭირო, როცა ხასიათზე არა ხარ.

- რატომ?

- ხასიათზე რომ მოხვიდე.

გიჟია, ვიღაცაა, ოხერი... თანაც მიყურებს და განცვიფრებული ამბობს: „ღმერთო, როგორ ჰგავხართ აურელიანო სქელს, სანამ გასუქდებოდა... ხომ არ გეწყინებათ აურელიანო რომ დაგიძახოთ?“

რაებს მიბედავს!

- თუ შეიძლება ეტიკეტი დაიცავით, - ამაყად ვამბობ, - თამაზი მქვია მე!

ხელისგულს მაჩვენებს, თავით ფეხებამდე მორჩილებაა:

- კარგი, თამაზი, კარგი, გენაცვა.

მზერას ვარიდებ.

„ადამიანს ერთი გასაოცარი თვისება აქვს“, -ყოველგვარი შესავლის გარეშე, ჩაფიქრებული იწყებს და ვამჩნევ, იცვლება - თვალები ისე ეშმაკურად აღარ უციმციმებს, სულ სხვა კაცია ჩემს წინ, რაღაცნაირად ღრმად მოწყენილი, დაფიქრებული, ჩემს მიღმა იყურება, და რაღაც უცნაურ ამბავს მიყვება, წარმოგიდგენიათ? - გომბეშოზე. თურმე გომბეშო უმოძრაო მწერს ვერა ხედავს, და მხოლოდ მაშინ შენიშნავს, თვალწინ თუ ჩაუფრენს და მაშინვე გადასანსლავს, და თუ შორიახლოს მწერი არაა, გომბეშოს თვალწინ ნაცრისფერი ეკრანი აქვს, და მხოლოდ მაშინ გაუცოცხლდება მზერა, მწერი რომ ჩაუფრენს. და თურმე ასე იმიტომაა, ყოველთვის რომ უყურებდეს გარემოს და ფერებს აღიქვამდეს, დაღლილობას ვერ გაუძლებს და მოკვდება, რადგან ტვინი ძალიან მარტივადა აქვს მოწყობილი...

- ადამიანი კი, - ამბობს, - ადამიანის ტვინი პირიქითაა, თუ არ იფიქრა, თუ არ დაინახა და არ იოცნება, სწორედ მაშინ იფიტება და კვდება, და რიგში დგომა რა ისეთი გაჭირვება და დროის დაკარგვაა - იდექი და იფიქრე შენთვის, ფიქრს ვინ დაგიშლის... ძალაუნებურად ყოველთვის გაიგებ ან დაინახავ რაიმეს, თუ არა გჯერათ, თვალები დახუჭეთ, ასე... რაიმეს თუ გრძნობთ?..

- არა.

- არც არაფერი გესმით?

- არა.

- აბა, დაიძაბეთ.

საიდანღაც წვეთავდა და შორიდან მანქანის ხრიალი აღწევდა.

- ხომ გესმით?

- კი.

- და ყურებზედაც რომ მიიფაროთ ხელები, მაინც წარმოიდგენთ რაიმეს - ადამიანი ასეა მოწყობილი. აბაა, სცადეთ...

დავინტერესდი, ხო იცი, და თვალები დავხუჭე, ყურებზედაც მაგრად მივიკარი ხელისგულები. პატარა ხანს ასე ვიყავი, ერთხანს მხოლოდ აჭრელებულ სიშავეს ვგრძნობდი, და რესპონდენტის ჯინაზე ვცდილობდი, არაფერი წარმომედგინა, მაგრამ უეცრად ცხადად დავინახე გაჩაჩხული სა???, ახალგაზრდა, იქნებოდა ასე, თვრამეტი-ოცი წლის, თმა გვერდზე გადაევარცხნა, წარმოუდგენლად დაბალი იყო და ცქვიტი, გამწარებული ისვამდა ჯაგრისს დასვრილ სახელოზე და აი, მაშინ კი მართლაც ძალიან გამიკვირდა, საიდან გაჩნდა-მეთქი, დავიბენი და, კიდევ კარგი, რესპოდენტმა მითხრა: „ეს ჩემი თანაშემწეა, კლიმი“.

გულზე მომეშვა: ის ვიწრო კარიც ღია იყო და მაშინვე ყველაფერს მივხვდი - აბა, როგორ გავიგებდი იმის შემოსვლას, თვალდახუჭული, და ყურებზედაც ხელისგულები მქონდა მიტყაპნილი...

- სასიამოვნოა, - ყოჩაღად თქვა კლიმმა და პაწია მარჯვენა გამომიწოდა. მეც გავუშვირე ხელი, ჩამომართვა, თითებზე დამხედა, „კალმისტარს გასდის? მაჩვენეთ...“ ვაჩვენე, გამომართვა, ზემოდან წარბშეკრული დააცქერდა, მერე სინათლეზე გახედა, უჯრიდან მკვირცხლად ამოიღო რაღაც, მოარგო, მოყვითალო სითხეც წაუსვა ფუნჯით, სული შეუბერა, ატრიალა, ატრიალა და დამიბრუნა:

- ინებეთ, წესრიგშია.

რესპოდენტმა კი სიამოვნებით აღნიშნა:

- ცეცხლია, ცეცხლი... - და ისევ მე, მე მომიბრუნდა, - დაინახეთ რამე?

- როდის?

- თვალდახუჭულმა...

- კი - აპარატი.

- ჰოო, აი, ხომ ხედავთ, აპარატიც კი ჩაგრჩათ გულში და... - ისევ დაფიქრებული მიმზერს. - და ქვეყნად რამდენი რომანია ისეთი, რომელიც გაცილებით საინტერესოა, ვიდრე ყოველნაირი აპარატი დედამიწის ზურგზე, აი, მაგალითად, თუ წაგიკითხავთ... რომელი ერთი გკითხოთ, უცებ დავიბენი... რომელი ვკითხოთ, კლიმ?

- მადამ ბოვარი, - მოწიწებით წარმოთქვამს კლიმი.

- ჰო, აუ თუნდაც, ქალბატონი მადამ ბოვარი თუ წაგიკთხავთ?

- ეეე... არა, - ვეუბნები, მაგრამ ვაი ამ პასუხს, ისე შემომცქერის და მეკითხება, - მაგ პასუხისთვის რომ შეგაქოთ, ხომ არ ვიქნები გულწრფელი?

- არა.

- ჰოდა, მაშინ, არაფერს გეტყვით.

ის ციცქნა კლიმიც კი დამანამუსებლად მიმზერს, ლაწირაკი, და თუმცა იშვიათად მეცვლება ფერი, ვწითლდები:

- აუცილებლად წავიკითხავ.

- ოო, - ამბობს და მხარზე მადებს ხელს, ახლა სულ სხვა კაცია, ალერსით მიყურებს, შემომღიმის, მოკლედ, შევაყვარე თავი.

7

და რადგან სასწრაფოდ უნდა დაებეჭდა ათი წლის წინათ კურსდამთავრებულ ვიღაც ენერგეტიკოსთა სურათები, სწორედ იმ ვიწრო კარში შევედით, და მქრქალ სიბნელეში, ბაც წითელ შუქზე, თან ვსაუბრობდით და თანაც სურათებს ამჟღავნებდა. მპასუხობდა მოკლედ, მკაფიოდ, აუღელვებლად, ვისარგებლე და ძალიან რთული შეკითხვა დავუსვი, რომელზედაც უცებ, ერთბაშად ვერავინ პასუხობს: „მოგწონთ ცხოვრება?“ იმან კი მაშინვე ასე მომიგო: „გააჩნია, იმ დღეს როგორი ავტორი შემხვდება...“ ვსაუბრობდით, და რაღაც ხსნარში ჩაგდებულ ქათქათა ფოტოქაღალდზე ვიღაცის წარბი ამოიზნიქებოდა. მერე - ტუჩები, თვალები, თმა, „იბადებიან, - იხუმრა რესპოდენტმა, - ხანდახან ისეთი საინტერესო პერსონაჟი შემხვდება, მაპატიეთ, მაგრამ, აი, თქვენსავით, აჰ, როგორ ჰგავხართ აურელიანოს, ოღონდ გასქელებამდე, თამაზი ჩემო, როგორ, აი, ეს კი, მაგალითად, - პინცეტი დაადო რომელიღაც ახალშობილს, - უწყინარი კაცი უნდა იყოს, თქვენ წარმოიდგინეთ, არიან ბოროტებიც, და გაბღენძილს რა გამოლევს, გვხვდებიან სათნოებიც, გამოვდივარ თუ არა კრებებზე? არა, არა, ჯერ ეგ ერთი, ფოტოგრაფებს იშვიათად გვიწვევენ კრებებზე, და გინდაც ყოველდღე გვქონდეს, მაინც არ გამოვალ სიტყვით - არ შემიძლია ერთნაირად მივმართო სხვადასხვა განათლებისა და ხასიათის ადამიანებს, როგორ შეიძლება მიმართო ორ კაცს ერთნაირად, მაშინ, როდესაც ერთს წაკითხული არა აქვს... რომელიმე დიდი მწერალი დაასახელე, კლიმ... ჰო, აი თუ ერთს არ წაუკითხავს სტენდალი, მეორეს კი გადაბულბულებული აქვს, განა შეიძლება ამ ორ კაცს ერთი და იგივე სიტყვებით მიმართო? ახლა ეს ფირი დავბეჭდოთ, კლიმ... ხოლო რაც შეეხება მომდევნო შეკითხვას, თუ რომელი მეცნიერება მიტაცებს, ესე იგი მიყვარს - არა? მიძნელდება პასუხის გაცემა. მეცნიერებაში საკმარისად ვერ ვერკვევი და, ეე...

შეიძლება, ჯერ ისა ვთქვა, რომელი არ მიყვარს? აი თუნდაც, მათემატიკა... ეს ვისი სახეა, ღმერთო ჩემო, კლიმ, ეს რა თვითკმაყოფილი გამომეტყველება აქვს, წარმოუდგენელია, - ნედლ სურათს დასცქერის, - ახლა, ამ კაცის რა უნდა ირწმუნო, ნეტავ ვინაა, ან როგორ იქცევა სამსახურში, ოჯახში, ეს სურათი ერთხელაც დაბეჭდე, კლიმ, კაბინეტში ჩამოვკიდოთ, თვალნათლივ ადგილას - მაგის შემხედვარე, ყველა მიხვდება, თვითკმაყოფილება როგორი ცუდია, იმას ვამბობდი, ხომ ცნობილია, რომ მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, მაგრამ ყოველთვის არაა ასე, ერთ უხეშ მაგალითს მოგიყვანთ... ბავშვობისდროინდელი ნაცნობი მყავს, ფუფუნებაში იზრდებოდა, საბრალო, და რომ დაკაცდა, მშობლიური ფუფუნება მერეც არ მოკლებია და, საწყალს, ზეთი ჩამოსდიოდა სახეზე, და ახლაც ერთთავად მშიერის გამომეტყველება აქვს სწორედ იმიტომ, რომ მუდამ მაძღარია და განა შეიძლება, როდესმე დანაყრდე, თუ მუდამ მაძღარი ხარ, და იცით, რა მოინდომა? ტრაბახა გახდა, დასვენებულ ტვინზე და სწორედ ამ კაცისთანა თვითკმაყოფილი იერი დაირტყა...

კლიმი გულდასმით უსმენს, და უცებ შეწუხებული ამბობს:

- უჰ, სულ გავაშავე...

თურმე კლიმს დაავიწყდა ხსნარში ჩადებული სურათის ამოღება, ჩანახშირებული სახე ჩანს, კაცი კი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ამბობს: „ეგ არაფერი, კლიმ, ქაღალდის მეტი რა გვაქვს...“ „კი, მაგრამ რატომ უნდა გამეშავებინა“, - შეწუხებულია კლიმი, რესპონდენტი კი ჩაშავებულ ქაღალდზე სცნობს სწორედ იმ კაცს, თვითკმაყოფილს, და აგდებულად ამბობს: „გააშავე თორემ, მაგასაც აკადემიაში ირჩევდნენ... ჰო, მათემატიკაზე მოგახსენებდით, - განაგრძობს, - აი, ვთქვათ, დგას ქუჩაში ის ვაჟბატონი, ნაფუფუნებარი, და მის გვერდით კი... ვინმე დიდი მწერალი დაასახელე, კლიმ, ძალიან დიდი... ოო, მაგაზე უკეთესს რას მეტყოდი, ჰოდა, ვთქვათ, დგანან ერთად უნებურად ამაყი, ჩამოძენძილი, მშიერი, ხელგამხმარი, დიდებული ესპანელი ინვალიდი და გვერდით კი უდგას ეს ჩვენი ნაცნობი, ვიგინდარა, წეღან რომ დაგიხასიათეთ, მერე რა, სხვადასხვა ეპოქაში რომ ცხოვრობდნენ, მაშინაც კი იქნებოდა ვინმე ასეთი, ვთქვათ, ერთად დგანან - ოცნებით სავსებით შეიძლება საუკუნეთა წიაღში გასეირნება - ჰოდა, ჩემოივლის იმდროინდელი ჩამორჩენილი, ანდა, შესაძლოა, ნიჭიერი მათემატიკოსიც კი და რომ ჰკითხავენ - რამდენი კაცი დგას ქუჩაში? - იტყვის: „ორი...“ აბა, გეკითხებით, განა ეს პასუხია? როგორ თუ „ორი“ - ის და ის - ესე იგი - ერთი პლუს ერთია? აჰ, არა, არა, ხანდახან არაა მათემატიკა ზუსტი მეცნიერება, ლიტერატურაში კი, ჩემო კარგო, ეჰ, ასეთი უზუსტობა არასოდეს არ მოხდება, ყველაზე უკანონები მეცნიერება თუმცაღა კია... „უკანონებო“ ამ შემთხვევაში სულ სხვა სიტყვაა, ტკბილო... ვერავინ იტყვის, ესპანეთში ერთ დროს ორი მხედარი რომ დაბორიალობდა - არა, ერთი, მაღალი, გამხდარი - დაბორიალობდა და მეორე - დაბალი, მსუქანი - დაჰყვებოდა... ამოიღე, ამოიღე, კლიმ, კიდევ გაშავდა? შენ რა გითხარი...“ - ეღიმება.

მქრქალ სინათლეში ვდგავართ, ვსაუბრობთ, ანკეტას ვავსებ...

„ცოლ-შვილი თუ მყავს? არა, არა მყავს, საცოლე კი, გაგიხარია, მყავდა. მაგრამ მე იმის შემდეგ ცოლს ვეღარ მოვიყვან, ისე კი, რა დაგიმალოთ და ქალებში კი დავდივარ ხანდახან, ორგანიზმი მაინც თავისას ითხოვს, ცოლის მომყვანი კი... არა, აღარ ვარ. გინდა, გიამბო? ყველაფერს გეტყვით - ისე ვუყვარდი, ისე მიყვარდა... ვისზედაც უნდოდა, იმაზე გავეცვალე, ნებისმიერ ადამიანზე - იქნებოდა ეს ტანმორჩილი, გამხდარი ინტელიგენტი თუ დიდხელება გლეხი, სათვალიანი მუსიკოსი თუ მუშა, ალალი ღიმილით სახეზე, ანდა, თუნდაც ფიზიკოს-ლირიკოსი, ბოლო დროს გაჩნდა ადამიანთა ასეთი კატეგორიაც, არ ვიცი, რა აქვთ საერთო ერთმანეთთან, რითმის გარდა და, მოკლედ, ვინც გინდა ის ყოფილიყო, მაგრამ არა, არაა, სწორედ იმას მანაცვალა, რასაც ყველაზე, ყველაფერზე მეტად ვერ ვიტან - თვითკმაყოფილს და თვითკმაყოფილებას... ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორიცაა სიტყვა... „მოიისფრო“, გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორიცაა სიტყვა... „გავძეხი“, და მე კი განზე ვიდექ, ზედმეტი, როგორც სიტყვა „მაშასადამე...“ ოო, ამოიღე, ამოიღე, კლიმ, ძლივს არ გამოვიდა?“

ვიდექით, ვსაუბრობდით...

8

ხელმძღვანელი დაკვირვებით მიმზერს, მზის საწინააღმდეგო სათვალეც კი მოუხსნია და ასე მიყურებს, პირდაპირ, ჯიქურ, მე ანკეტას ვაცნობ, ყველა პასუხი - ეს რაღაც საერთოა მხატვრულ ლიტერატურასთან, როგორც ასეთი, ხელმძღვანელი ხან მე მისმენს, ხანდახან კი აშკარად თავის მომავალ ნაშრომზე ფიქრობს, რადგან დროდადრო თავს სწორედ ასე, ოდნავ გვერდულად და ზემოთკენ შემართავს ხოლმე და შორეულ სივრცეში ცალწარბაწეული იყურება, და დროდადრო მკვირცხლად ამბობს: „აჰაჰა... ჰაჰა... კარგია, კარგი...“ მე ვრცლად ჩაწერილ პასუხებს ვაცნობ - დასახელებულ რესპოდენტს არ უყვარს მათემატიკა, რადგან მწერალი სერვანტესი პლუს ვინმე ვიგინდარა არ არის ორი, ესე იგი ერთი პლუს ერთი; რომ საცოლე წაართვა კაცმა, რომელიც ჰგავდა სიტყვას „გავძეხი“; მიაჩნია, რომ იოტისოდენადაც კი არ ჰკარგავს თავისუფალ დროს, რადგან გაჭედილ ტრამვაიში მგზავრობისას ფიქრობს ლიტერატურაზე, ოღონდ ვიწრო გაგებით, ისევ და ისევ მხოლოდ მხატვრულზე, და ყველაფერს თანმიმდევრულად ვეუბნები ხელმძღვანელს, ისიც დროდადრო გულდასმით მისმენს, ფაქტების კონსტატირებას ვახდენთ. „არ მეკარგებაო, არა?“ - ხმადაბლა, იდუმალი ხმით მეკითხება ხელმძღვანელი, - „არაო, არა, - ვეუბნები, - წარმოგიდგენიათ?“ „ეს ხომ შესანიშნავია, შესანიშნავი, - ამბობს, - აი, ინდივიდი - მესმის... და თქვენ თუ გესმით, რომ გადავაწყდით პერიმეტრიულად ისეთ მკვეთრ, მკაფიოდ გამოხატულ ინდივიდს, რომელიც

შესძლებდა ეპასუხა კითხვებზე, რომლის წიაღიცაა გაცილებით უფრო მნიშნველოვანი სფერო და განა მხატვრული ლიტერატურა ხელწამოსაკრავია, როგორც ასეთი? განა მხატვრულ ლიტერატურას არ ემსახურებოდნენ კალმით ტოლსტოი, გერცენი, ეე... და მთელი რიგი საქვეყნოდ გამოჩენილი ადამიანებისა? კარგია, კმარა, - ამბობს და მიმზერს, - მოდით, წავიდეთ, დასახელებული რესპონდენტი დიახაც რომ რთული კითხვებისთვისაა ზედგამოჭრილი, - და ოდნავ ღელავს, - ადგილზევე ვნახოთ... ნეტავ, სამსახურში თუ იქნება...“ „აბა სად იქნება, - ვამშვიდებ, - სად უნდა იყოს, თუ არ“... „კარგით, წავიდეთ...“ - მკაცრად მეუბნება.

ქუჩაში მივაბიჯებთ, ორნი, ხელმძღვანელი და მე. თუმც აღელვებულია, ნაბიჯი მაინც მტკიცე აქვს, გამართულია, პალტო კოხტად აზის ათლეტურ ტანზე, აქოჩრილი თმა აქვს, გამჭოლი მზერა, რაღაცით არწივსა ჰგავს, გაბედული. მე მსიამოვნებს, მიხარია ხელმძღვანელთან ერთად სიარული, ასე, ტოლივით გვერდიგვერდ და მხარდამხარ, იმასაც ვნატრობ, ნეტავ ვინმე ნაცნობმა დამინახოს. ჩვენ მივუყვებით ქალაქის ქუჩებს, ვუახლოვდებით კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ხელმძღვანელი იდაყვზე ხელს მკიდებს, და თავის გეგმებს მიზიარებს - ჯერ რამდენიმე მარტივ შეკითხვას დაუსვამს, რა თქმა უნდა, ლიტერატურასთან დაკავშირებით... არა ზოგად ლიტერატურასთან დაკავშირებით, არამედ ვიწრო გაგებით... და მე არ უნდა ჩავერიო მათ საუბარში, თუკი არ მომმართავენ - აქ შეიძლება ერთადერთმა წინდაუხედავმა სიტყვამაც კი გააფუჭოს მდგომარეობა... გასაგებია? „რა თქმა უნდა“. ასე. და თვალებშიაც არ უნდა მივაჩერდე რესპოდენტს. თავი უხერხულად რომ არ იგრძნოს, „ქვეყანა რომ გადაბრუნდეს, - მწარედ მეღიმება, - ეგ უხერხულობას არ იგრძნობს...“ „რატომ?“ „რა ვიცი...“ „საინტერესოა ესეც, - ამბობს ხელმძღვანელი, და მაინც, ნუ შეაცქერდები...“ „სულ არ შევხედავ“. „არა, ესეც არაა საჭირო... ხაზგასმა... უკიდურესობაში არ უნდა ჩავარდეთ... ხანდახან უნდა შეხედოთ...“ „ხანდახან შევხედავ, - ვპირდები, - აიი, იქაა...“ „აჰა! - ამბობს ხელმძღვანელი და მკლავზე მაგრად მიჭერს ხელს, - იცით რა, თამაზ? მე გარეთ დაგელოდებით, თქვენ კი წინასწარ უთხარით, რომ მასთან საუბარი სურს თქვენს კოლეგას, ასაკითა და თანამდებობით უფროსს - წინასწარ რომ გავაფრთხილებთ, უფრო სიმპათიით განეწყობა, მე კი ისეთ პოზიციას დავიკავებ, რომ მისი ფანჯრიდან გამოვჩნდე, ავივლი, ჩავივლი, გასაგებია? - და უცებ ამბობს: - თუმცა, არა, არა შევიდეთ ერთად...“

9

კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ვიღაც საფუძვლიანად დეკოლტირებულ, თავით ფეხამდე ათრთოლებულ ქალს სურათს უღებს: „ეგრე, არა, არა, ზემოთ აიხედეთ, ზევით, მაღლა-მეთქი, ცოტათი კიდევ, ოო, მარცხნივ მიაბრუნეთ თავი, ოდნავ, ოდნავ, ნუ

იძაბებით, ნუ, ნუ ღელავთ, ქალბატონო, დამშვიდდით და გაიხსენეთ რაიმე ისეთი, აი, ნამდვილად კარგი რამ, ბავშვობა გაიხსენეთ თუნდაც, ლაღი, უდარდელი, უკან გადავარდით... არა, ეგრე კი არა, არამედ აზრობრივად, უკან გადავარდით ოცდაათიოდე... ეე, ოცი წლით, ოოო, ეგრე, იფიქრეთ ბედნიერ ბავშვობაზე, ჩქარა კასეტა, კლიმ, მხრებზე ხომ არ გცივათ? ბარეღამ შენ ჩადგი, კლიმ, გაიწაფე ხელი, ოო, ჩვენი აურელიანოც მოსულა, გაგიმარჯოს, არა, თქვენ არა, ქალბატონო, რატომ დაიქნიეთ თავი, სულ გაიფუჭეთ პოზა, ასწიეთ თავი, ასწიეთ, თვალები ცოტა გაიფართოვეთ, დაძაბეთ ქუთუთოები, არა, არა, ეგრე ძალიან ნუ დააჭყეტთ, ოოო, ეგრე, ნუ ღელავთ... აი, თქვენ ახლა ზედმეტად დამშვიდდით და ისევ დაგავიწყდათ სვებედნიერი ბავშვობა, გაიხსენეთ, გაიხსენეთ, მერე რა, დიდი ხნის უკან რომ... ხომ არა გცივათ, არა, ხო? ძალიან კარგი...“.

როდის-როდის მორჩა, ძლივს დაადგა საშველი. აქ კი ყველამ თავისი საქმე იპოვა, ჩემს გარდა, უეცრად ყველა აფაცურდა: კაცი ჯიბეებს იჩხრეკს, ტანსაცმელზე ხელისგულებს იტყაპუნებს, უჯრაში იქექება; კლიმი სასწრაფოდ აქრობს მძლავრ სინათლეს - ნათურებს ასვენებს, მერე აპარატს უკირკიტებს, „ჩემი ფანქარი ხომ არ გინახავს“? - ეკითხება კაცი, „არა, - პასუხობს კლიმი, - უჯრაში არ იდო?“ ამასობაში კი ხელმძღვანელი, თავაზიანი ღიმილით, ბეწვისსაყელოიანი პალტოთი ხელში, შემცივნულ ქალს უახლოვდება, პალტოს ქალის შიშველი მხრების სიმაღლეზე სწევს, ეუბნება: „ჩაიცვით, ქალბატონო, არ გაცივდეთ... და�ა...“ ქალმა ერთი კი ახედა, სანამ პალტოს ჩასაცმელად შეტრიალდებოდა და ახლა კეფაზედაც კი, ზვინად დადგმულ თმაზედაც კი - წარმოგიდგენიათ? - ეტობა, რომ მოსწონს... „ვერ იპოვეთ?“ „ვერა, კლიმ, - შეწუხებულა კაცი, - ქვითარი რითი გამოვწერო...“ „ძალიან გციოდათ?“ - მომხიბვლელად ეკითხება ხელმძღვანელი, ხმას იტკბობს, ლამაზია, ეშხიანი. „ა-არა, არც ისე“, - ამბობს ქალი, ლამაზია, ბუნჩულა. „უჯრაში ნახეთ?“ „კი, და არაა“. „სად უნდა იყოს“, შეწუხებულა კლიმიც, ხელმძვანელი კი - „ახლა ხომ გათბით?“ - ამბობს. ქალი თავდახრილი დგას, ხელმძღვანელი შუა თითით მაჯიდან განზე სწევს ლამაზი პერანგის სახელოს, საათზე ამაყად იხედება, ქალი დროს შოულობს და წამით თვალს ავლებს სახეზე, სულ ერთი წამით, მაგრამ ახლა, ისევ თავდახრილმა, ზეპირად იცის, წარბი როგორი აქვს ხელმძღვანელს, ცხვირი და ტუჩი, და მოსწონს, მოსწონს, აჰ, როგორ მოსწონს, კაცს კი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, სულაც არ მოსწონს, ფანქარი რომ გაქრა, საგონებელშია ჩავარდნილი. „აი, ახლა ყელზედაც კი გეტყობათ, რომ გათბით, - ამბობს ხელმძღვანელი, - თქვენ არასოდეს არ უნდა შეგცივდეთ, მუდამ თბილად უნდა იყოთ“, ეუბნება, უყურებს, უყურებს, თვალებით ელოლიავება. ქალს ლოყა ბეწვის საყელოზე უდევს, ხელმძღვანელს თითქოს თვალს არიდებს, მაგრამ მოსწონს, მოსწონს, უჰ, როგორ მოსწონს, და ჩვენ რომ არა, აქავე დაეძგერებოდნენ ერთმანეთს, „ეგებ აურელიანოსა აქვს კალმისტარი?“ - აზრს აწვდის კლიმი, „ოოო, მართლა, - უხარია კაცს და მაშინვე ახსენდება, - არა, არა, მაგისას გასდის... და ამას რომ ვკითხოთ?“ - ხელძღვანელზე ამბობს. ის კი ქალისკენ გადახრილა, და შიგ თვალებში ჩაჰღიმის, „ბოდიში, კალმისტარი ხომ არ...“ - ამბობს კაცი, მაგრამ ხელმძღვანელს არ ესმის, გართულაი, ყოჩაღი კლიმი კი პოულობს რომელიღაც წიგნში ჩადებულ ფანქარს, კაცი ქვითარს ავსებს, თავაზიანად აწვდის კლიენტს, ისიც, წასასვლელად ემზადება - სქელ, ფუმფულა თავშალს იხვევს, ხელმძღვანელი კარს უღებს და ქალს ორ პატარა საფეხურზე

ასვლას შველის - მის იდაყვს პეშვში ისვამს, ამბობს: „დროებით...“ და ოთხნიღა ვრჩებით, ორი - ორზე, მაგრამ კაცმა ჯერ არ იცის, ჩვენ რომ ერთად ვართ, კლიენტი ჰგონია, ეკითხება: „თქვენ პასპორტისთვის თუ...“ ხელმძღვანელი კი გულიანად უღიმის: „არა, არა, მე ჩემს თანამშრომელს მოვყევი...“ „თამაზის? - უკვირს კაცს და უცებ ახსენდება: - აა, ეს თქვენა ხართ, ხელმძღვანელი, ახალგაზრდა და ენერგიული, რომელმაც, თამაზის სიტყვით, ძალიან კარგად დაიწყო?

- დიახ, დიახ...

და უცებ, გაოგნებული კაცი ამბობს:

- კლიმ, მეჩვენება თუ...

- არა, არა...

- რეები ხდება... როგორა ჰგავს, ა? კოპიოა, კოპიო...

- აბა? - უკვირს კლიმსაც და ბარძაყზე ხელს ირტყამს, - როგორა ჰგავს, საკვირველია...

- მე?.. ვის, ა? - შემკრთალია, მაგრამ არ იმჩნევს ხელმძღვანელი, ვითომცდა გულგრილად ინტერესდება, - კინოფილმიდან?

- აჰ, არა, არა... - ხელს ასავსავებს კაცი.

- აბა?

- წიგნიდან, წიგნიდან... სასწაული გამიგია, მაგრამ ასეთი?! - კლიმ, ხომ ზედგამოჭრილი ჯანჯაკომო სემინარიოა, ა, ნუთუ არ გენიშნა, კლიმ?

- მენიშნა კი არა, ისაა და ეგ არის, - ყოჩაღად პასუხობს კლიმი.

- ბოდიში, ეგ რომელი?.. - ამბობს ხელმძღვანელი, ჯერ კიდევ კარგად უჭირავს თავი.

- აიი, პირველი შვილი, მარშალის უფროსი ძმა.

- ვინ მარშალი...

- ვინ და ბეტანკური! აბა ეს კი არა, - ჩემზე უთითებს, წარმოგიდგენიათ? და უცებ აღფრთოვანებული ამბობს, - იცით, მსგავსებას თუ დავუჯერებთ, თქვენ თამაზისი რა გამოდიხართ?

- რა...

- პაპა!

- ეს როგორ?

- ჯანჯაკომო ხომ არიადნა კარრასკოსგან ჰყავდა, არა? - მეხსიერებას იმოწმებს კლიმი.

- ვინ ჯანჯაკომო, რა მარშალი... - ახლაღა იბნევა ხელმძღვანელი. არეულობაა - მტრისას... ოთხივენი გაკვირვებულნი შევცქერით ერთმანეთს.

- ააა, მივხვდი, - ამბობს კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, - თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წაგიკითხავთ, არა, ხომ?

- ა-არა, ხომ... - ამბობს ხელმძღვანელი, მშვიდდება, - არა ტყუილი რა საჭიროა... ნაწარმოებია ასეთი?

- ჰე! არის და... და არც ლდოსა? მარიო ვარგასი...

- ეეე... არა,

- და კორტასარი?

- მმუ... არა.

და უცებ კაცი ღონივრად ართმევს ხელს:

- მომილოცავს, მომილოცავს, ბედნიერი კაცი ყოფილხართ, ბედნიერი...

- რატომ?! - უკვირს ხელმძღვანელს.

- რატომ და ისეთი დიდი სიამოვნება გელით...

- რა სიამოვნებაა?

კაცი კი ამბობს:

- პირველად წაკითხვის.

ხოლო აქ ხელმძღვანელს თავისი მომავალი ნაშრომი ახსენდება - თავს ოდნავ გვერდულად და ზემოთ სწევს, სახე უმკაცრდება, სკამზე ჯდება, თითებს მინაგადაფარებულ მაგიდაზე აკაკუნებს, ამბობს:

- შეიძლება, რამდენიმე შეკითხვა მოგცეთ?

- კი ბატონო, სიამოვნებით, - ამბობს კაცი, დაკვირვებით უმზერს.

და კლიმს ეუბნება:

- ხელი რომ არ შეგვიშალონ, ეს ჩამოკიდე.

„ეს“ - ოთხკუთხა მუყაოა, და „შესვენება“ ქართულ-რუსულად აწერია ზედ.

10

აქამდე რაც იყო, არაფერიც არ იყო, მთავარი ახლა იწყება - მე და კლიმი სეკუნდანტებივითა ვართ, ხელმძღვანელი და ახირებული რესპონდენტი პირისპირ სხედან. სუყველაფერი გამზადებულია: კალმისტარი - მომარჯვებული, ანკეტა - გადაშლილი, რესპონდენტი სმენადაა ქცეული, ხელმძღვანელი თვალმოჭუტული უყურებს, და არა ჩქარობს, არა, იმას უნდობლად უმზერს კლიმი, მე კი დაეჭვებული შევცქერი რესპოდენტს - ორი - ორზე ვართ.

და ხელმძღვანელი ამბობს:

- მოცემულ ანკეტაში უმნიშვნელოვანესი ფუნქციონირება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ტრადიციულ შეკითხვათა ხერხემალზე დაყრდნობით, რაც თავისთავად დაკავშირებული იქნება ყოფა-ცხოვრებისა და, საერთოდ, ცხოვრების წესის გათვალისწინებით, და მაშასადამე მათი ადგილი უნდა დაიკავოს გარემოს ურბანიზაციის კომპლექსური მაჩვენებლების...

აქ კი რესპონდენტი აწყვეტინებს:

- კი ბატონო, მკითხეთ...

- რა გკითხოთ?! - განცვიფრებულია ხელმძღვანელი, ოდნავ ღიზიანდება, არ უყვარს, როცა აწყვეტინებენ, - ჯერ ეს ერთი, რა იცით, რა უნდა გკითხოთ...

- არ მითქვამს ვიცი-მეთქი... თუმცა, როგორ არ ვიცი, - ამბობს რესპონდენტი, - თქვენ უნდა შეისწავლოთ ჩემი თავისუფალი დრო და ჩემივე ყოფა-ცხოვრება მომავალი აღმავლობისათვის, თუ არა ვცდები, არა?

- და ყოველგვარი შესავლის გარეშე გკითხოთ?

- რა თქმა უნდა, შესავალი - ეს ხომ თამაზმა ჩაატარა უკვე. და ისიც ვიცი, რომ მე - რესპონდენტი ვარ, და ინტერვიუერი - თქვენ.

- კაარგით, - ცივად უღიმის ხელმძღვანელი, - ესე იგი, თქვენ გიყვართ მხატვრული ლიტერატურა, არა?

- რა დასამალია და, ძლიერ.

- ძაალიან კარგი... და ჟურნალ-გაზეთებიც?

- ეს, სხვათა შორის, ძალიან არასწორი გამოთქმაა - „ჟურნალ-გაზეთები“, - სწყინს რესპონდენტს, - რადგან ჟურნალი - ერთია, გაზეთი კი სხვა... რატომ მიაწებეს ერთმანეთს სამუდამოდ, წარმოდგენა არა მაქვს.

- აჰა... და რომელი მწერალი მოგწონთ?

- რომელი საათია, კლიმ? - მოულოდნელად ასეთ კითხვას სვამს რესპონდენტი.

- ოთხს უკლია ჩერექი, - პასუხობს კლიმი.

- ოო... იმათ ჩამოთვლად ვეღარ მოვასწრებ - მუშაობას ხუთზე ვამთავრებთ.

აი, სწორედ აქ ხელმძღვანელმა პირველად დამიბღვირა.

მერე კი ჰკითხა:

- რას იზამთ, ვინმეს თუ შეამჩნევთ, რომ ბიბლიოთეკაში წიგნს ხევს?

გვგონია, რომ იტყვის: „დავკლავ საკუთარი ხელით“, „ყელს გამოვღადრავ“, „მილიციას გამოვუძახებ“, მაგრამ რესპონდენტი ძალიან მშვიდად გვპასუხობს: „წიგნს გააჩნია...“

ასეთ პასუხს არ მოველოდით, ვიბნევით, კლიმი კი: „კარგი ხართ, მაესტრო“, - ამბობს.

- თქვენ მარტო ცხოვრობთ?

- არა, ორნი ვართ, - ყოჩაღად პასუხობს რესპონდენტი, - მე და ჩემი ძმა, გრიშა კეჟერაძე. მესამე ძმაცა გვყავს, ოო, ისაა, რაცაა, ორივე გვჯობს, ოღონდ ჩვენთან ერთად არა ცხოვრობს, სოფელ-სოფელ დადის. მე და გრიშა თუ... აბა, როგორ გითხრათ... ჰო! მე და გრიშა თუ სამოთხრობო ხალხი ვართ, ის ძმა - მესამე - სარომანოა, მაშ!

- და თქვენთან რომელიც ცხოვრობს, თქვენსავით უყვარს ლიტერატურა?

- ვის, გრიშას? არა... სიყვარულით როგორ არ უყვარს, მაგრამ ჩემსავით ძლიერ - არა. ეეჰ, იმასაც ჰქონდა თავისი პრობლემა - გატაცება, მაგრამ უკიდურესობაში ჩავარდა, რადგან ყველას ემუსაიფებოდა, განურჩევლად, მერე კი გადაწყვიტა ჩუმად იყოს, ეეჰ, ახლა პიანინოებს აწყობს და ჩუმადაა.

აი, სწორედ აქ ხელმძღვანელმა მეორედ დამიბღვირა.

და მერე მაინც ალაპარაკდა, როგორც სჩვევია, დამაჯერებლად, გამოთქმით:

- აი, ის ფაქტი, თქვენ რომ ლიტერატურა გიყვართ, ძალიან კარგია, ეს არის კულტურული დასვენების ერთ-ერთი გამართლებული საშუალება. ერთ-ერთი-მეთქი, ვამბობ, - ამბობს ხელმძღვანელი, - მაგრამ რა დააშავა, მაგალითად, სახვითამ ხელოვნებამ, ანდა სუფთა ჰაერზე გასეირნებამ, ანდა დიდებული მუსიკის მოსმენამ, როგორიცაა სხვადასხვა გამოჩენილი კომპოზიტორები, დიახ... ანდა სამეჯლისო ცეკვებზედაც ხომ შეიძლება სიარული, რადიოს

მოსმენა, ტელევიზოტი, თავისი საინტერესო გადაცემებით მრავალფეროვან თემებზე, ან სპორტის რაიმე სახეობა, ვთქვათ, ჭადრაკი, ანდა მხატვრული ლიტერატურის კითხვა... - და უცებ ახსენდება, - თუმცა არა, არა, ეს ხომ გაქვთ... და, დიახ, იმას ვამბობდი, აი, ჭადრაკი, მეტად კარგია და საერთოდაც...

სიჩუმეა, ვიცდით.

- განაგრძეთ, განაგრძეთ, - ამბობს უცებ კლიმი - ხელმძღვანელს ასწავლის, რა ქნას და რა არა, თავხედი გამიგია, მაგრამ ასეთი? კაცს მაინც ჰგავდეს, დაბალია, დიდთავა, პატარა, ლაწირაკი, დაფეხვილი...

და განრისხებული ხელმძღვანელი ენერგიულ, ურთულეს შეკითხვაზე გადის, ახლა ისევ თამამია, შეუპოვარი:

- თქვენს ნება-სურვილზე რომ იყოს, - ამბობს ხელმძღვანელი, - ცხოვრებას როგორ მოაწყობდით...

- ჩემსას, საკუთარს?

- აარა, გენაცვალე, - ინადით ეუბნება ხელმძღვანელი, - საზოგადოების!

- ღმერთო ჩემო... - მღელვარედ წარმოსთქვამს რესპონდენტი, - მომეყურა თუ... მთელი ცხოვრება ამ შეკითხვას ველოდებოდი!

- მართლა? - განცვიფრებულია ხელმძღვანელი, - გიფიქრიათ ამაზე?

- სხვა რა მიკეთებია, - დაფიქრებული ამბობს რესპონდენტი და უცებ მხნევდება, - გიამბოთ?

- როგორ მოვაწყობდი? - კაბინეტში დადის, დაიარება, ბოლთასა სცემს, სურათებს შესცქერის: ღრმა დეკოლტეიან ქალებს, როგორც წესი, სერიოზული გამომეტყველება აქვთ, ალბათ, თამამი დეკოლტეს გასაწონასწორებლად, მკერდდაფარულნი - იღიმებიან, არის გამონაკლისიც - ღიმილი და დეკოლტე ერთად, ორიოდ ქალს ყალბი ტრაგიზმი აღბეჭდია

სახეზე, აგერ, ის კაციც, გუშინ სამჯერ რომ გააშავეს, თვალსაჩინო ადგილზეა სტენდში, აქავეა ვიღაც ყმაწვილი, ბოროტად იღიმება, ისიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, ცოტათი ქვემოთ - ვიღაცაა, სუფთა გაიძვერა, იმის გვერდით კი უნდობლად იმზირება წვრილტუჩა კაცი. არის კეთილი სახეებიც, ბავშვი იღიმება, „როგორ მოვაწყობდი? - ამბობს რესპონდენტი, ცოცხლდება, - როგორ და მთელ ქალაქ კარცერებით მოვფენდი“. „რაო? - ყურს არ უჯერებს ხელმძღვანელი, - როგორ თუ... ეს რა - დესპოტიზმია?“

- არა, გეთაყვათ, დესპოტიზმისაგან ღმერთმა დამიფაროს, - ღიმილით ამშვიდებს რესპონდენტი, - ეს არ იქნება კარცერი ჩვეულებრივი გაგებით, ეს იქნება კარცერ-ლუქსი...

- როგორ თუ ლუქსი?!

- თქვენი გაკვირვება სამართლიანია, - ეთანხმება რესპონდენტი, - არის ქვეყნად სიტყვები, რომლებისთვისაც ძალზედ ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სად „კარცერი“, და სად „ლუქსი“, მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა, - ეს იქნებოდა კარცერი-ლუქსი, წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მოხერხებული სავარძლით, კოხტა მაგიდაზე ნათურა - სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი - ოცნება ყოველი წიგნის მოყვარულთათვის, რას იზამ, ყველას არ შეუძლია ბიბლიოთეკაში კითხვა, და ვინც თავისი ფეხით შევა ჩემს მიერ შემოღებულ მოწყობილობაში, მაშინ ეს ოთახი იქნება უბრალოდ - ლუქსი, მრავალთათვის კი - კარცერი-ლუქსი... აი, სწორედ აქედან უნდა დამეწყო - მე და ჩემნაირები, ეე, ჩემნაირები - ეს იქნებოდა უთვალავი კლიმი, ქუჩა-ქუჩა ვივლიდით, აი, ვთქვათ, მივდივართ... მივდივართ, ავიარეთ, ჩავიარეთ, კედელს ორი ჯეელი მიყუდებია, დგანან, მასლაათობენ, იფურთხებიან, დგანან, არსად არ აპირებენ წასვლას, ფეხებზე ჰკიდიათ, რომელი საათია, რა დროა, ღამეა თუ შუადღე, დგანან, გოგოებს ეანგლებიან, წაუსტვენენ, წაუღიღინებენ, ხანდახან ერთმანეთს გაეხუმრებიან თავისებურად - პანღურს ამოარტყამენ ერთურთს, იკრიჭებიან და სწორედ ამ დროს მე და ჩემნაირები - ტაც! - ხელს ვსტაცებთ და ზემოაღწერილ კარცერში მიგვყავს...

- ძალით? - აინტერესებს ხელმძღვანელს, და პირველად იწერს რაღაცას.

- დიახ, დიახ, ძალისძალათი. - მტკიცედ ამბობს რესპონდენტი, შეუვალია, - შესაძლოა, ხელის ამოტრიალებაც კი დაგვჭირდეს. იცით რა, გეთაყვათ, ზოგს მშობლების ზემოქმედებისა სჯერა, ზოგს - სკოლის, ზოგს - ორგანიზაციის, სხვას - უჯრედისა, ზოგს - ცემა-ტყეპისა და კიდევ რა ვიცი რისა აღარ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ჩემი ლუქსი, აჰ, უბადლოა - დგას ჩვენი ჯეელი, რაღა თქმა უნდა, ცალკე ვათავსებთ, ამ ჩვენს კარცერში, ჭერში შტერივით იყურება, ფანჯარაზე გისოსებია აკრული, კარიც, რასაკვირველია, დახშულია, გარეთ რომელიმე -

რომელიმე კლიმი დარაჯობს, სკამზე ჩამომჯდარი, მუხლებზე - წიგნით, ჩვენი ჯეელი კი უყურებს მაგიდას, სკამსა და... კარადა-თაროებს, მაგრამ ჯერჯერობით - არაფერი. მიდის ქათქათა საწოლთან, წვება, იყურება, იყურება, თვალი უშტერდება და იძინებს. მშობლები, რა თქმა უნდა, გაფრთხილებულნი არიან, „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, თქვენი შვილი კარცერ-ლუქსშია“, „კი ბატონო, კი, ოღონდ ეგ ქუჩა-ქუჩა წანწალს გადაეჩვიოს და...“ ჯეელი იღვიძებს, უყრებს ჭერს, შია... რა მოგართვათ, ეკითხება გარედან რომელიმე კლიმი, ჩაი, რძე, კაკაო... კაკაო იყოს, ამბობს ჯეელი, რატომ დამიჭირეთ... მაგრამ რომელიმე კლიმი ამ შეკითხვაზე არა პასუხობს, სულ სხვა რამეს ეუბნება - რამდენი კოვზი შაქარი გნებავთ? ოთხი, ამბობს ჯეელი, რატომ დამიჭირეთ, რომელიმე კლიმი კი - ყველი რომელი გიყვართ, გუდის, იმერული თუ სულგუნი? სულგუნი, რატომ დამიჭირეთ... რომელიმე კლიმი კი საუზმეს უმძრახად აწვდის, ჯეელი საუზმობს, პურზე კარაქს უსვამს, კვერცხს ნაჭუჭს აცლის, ცოტათი ერთობა, სიგარეტი ნებავს? კი ბატონო, სიამოვნებით, „მზიური“, „კოლხიდა“, „ლუქსი“. მაგრამ სხვა რამ გასართობი? - აჰ, არა, არა, აპაპაპაპა - არავითარი რადიო, ტელევიზორი, ტელეფონი, ჩვენი ოთახი მხოლოდ ლუქსი კი არა, კარცერიცაა ცოტათი... ჩვენი ჯეელი კი აბოლებს და ჭერში იყურება... ჭერი კი ანბანითაა მოხატული - ა, ბ, გ, დ, ე... ხომ კარგი აზრია, კლიმ?

კლიმი რას იტყვის - რა თქმა უნდა, „შესანიშნავიაო“ - ამბობს.

- მერე მოდის სადილობის დროც... პირველი თავი, მეორე, მესამე, სალათა როგორი გნებავთ, ზეთით, ძმრიანი თუ უძმრო, რატომ დამიჭირეთ, ა! არაა შენი საქმე - რომელიმე კლიმი - და აქ თუ ღრიალი და ხელ-ფეხის ქნევა ატეხა, უნდა უთხრათ: „თუთ!..“ - და ისადილებს. მერე ისევ ახედავს ჭერს, ჭერზე - ანბანია, და ამ დროს ნებისმიერი კლიმი დაუდევრად ეტყვის - თუ გინდა გადაფურცლე რამე, აი იქ კარადაში, წიგნებია... გამოაღებს, ჯერ საბავშვო წიგნები იქნება, დიდასოებიანი, ნახატებიანი, „თხა და გიგო“, „მელია და მწყერჩიტა“, ვთქვათ... და თუ თავისი ნება-სურვილით გადაიკითხავს, ხომ კარგი და თუ კითხვას გულს ვერ დაუდებს, რომელიმე კლიმი კატეგორიულად ეტყვის: „იქამდე არ გაგანთავისუფლებთ, სანამ სანამ კარადაში მოთავსეულ წიგნებს არ წაიკითხავთ...“

- ეს ხომ ძალადობაა, - ამბობს ხელმძღვანელი, - კონკრეტულმა პიროვნებამ საკუთარი ინიციატივით უნდა შეირჩიოს ამა თუ იმ საზოგადოებრივ ღონისძიებათაგან...

- მე ჯერ მხოლოდ ყმაწვილ-უსაქმურზე მოგახსენეთ, ბატონო, - უხსნის რესპონდენტი, - აბა მე რა უფლება მაქვს, ვინმე პატიოსან ქიმიკოსს ვსტაცო ხელი და დავამწყვდიო... - და უცებ ღრმად ჩაფიქრებული ამბობს, - ისე კი, უწიგნურ ქიმიკოსსაც თუ აწყინოს, მამაძაღლი ვიყო...

- ჰ-ჰ! - ნერვიულობს ხელმძღვანელი, აფორიაქებულია, ღაწვ-ყელს თითებით იმოწმებს - გაპარსულია თუ არა, კლიმს უყურებს, ახსენდება: - კი მაგრამ, რომელიმე კლიმმა რაღა დააშავა, მთელი დღე რად უნდა უყარაულოს და მოემსახუროს უსაქმურს?

- ჯერ ეს ერთი, მე აღვნიშნე, რომ მუხლებზე წიგნი ექნება გადაშლილი, მეორეც, ყოველთვის შეიძება უწყინარი გართობა...

- როგორ?

- სიტყვით.

- როგორ თუ სიტყვით?!.

- ახლავე აგიხსნით. აი, ვთქვათ, აი... ჰო, აი თუნდაც თამაზი ავიღოთ, ჩვენი. რა თანამდებობა აქვს?

- უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

- ძალიან კარგი. ადრე ვინ იყო...

- ადრე - ლაბორანტი.

- აჰაა... და დააწინაურეთ?

- დიახ.

- აჰა!.. ესე იგი, სიტყვა უმცროსი ამ შემთხვევაში დაწინაურებას ნიშნავს?

- დიახ.

- ჰოდა, საგულისხმო გამოთქმას მივიღებთ - „გავაუმცროსთანამშრომლეთ...“

აი, აქ კი ხელმძღვანელმა მესამედ დამიბღვირა.

- ახლა საწინააღმდეგო მაგალითი ავიღოთ - ვთქვათ, თამაზი კვლავ ლაბორანტია. როგორ გამოთქვამდა თავისი პირით ამას?

- ისევ ლაბორანტი გავხდი, - ამას ხელმძღვანელი ამბობს...

- არა, რომ ჩამოაქვეთეს, ისიც უნდა იგრძნობოდეს.

- ისევ ლაბორანტად ჩამომაქვეითეს.

- მოკლედ!

- ლაბორანტად ჩამომაქვეითეს.

- უფრო მოკლედ!

- ჩამომაქვეითეს.

- ლაბორანტი სადღაა?! ერთი, ერთადერთი სიტყვით უდნა გამოთქვათ, ისე რომ ჩამოქვეითებაცა და ლაბორანტობაც გამოიხატებოდეს.

- ერთი სიტყვით შეუძლებელია.

- რატომ?

- აბა, თქვება სცადეთ, თუ შესაძლებელია.

კაცი კი ამბობს:

- შესანიშნავ სიტყვას მივიღებთ: „ჩამომალაბორანტეს“ - ხომ შესაძლებელი ყოფილა? აი, ასე ითამაშებდა სიტყვით რომელიმე კლიმი.

ხოლო კლიმი: - კარგი ხართ, მაესტრო, - ამბობს.

აჰ, ხელმძღვანელი... მეოთხედ დამიბღვირა.

სიჩუმეა, კლიმი აღტაცებული შესცქერის რესპონდენტს, რესპონდნეტი თავისას ფიქრობს, თავისასვე ფიქრობს ხელმძღვანელი, და მხოლოდ მე არ ვიცი, რა ვქნა, რა გავაკეთო, ჰალსტუხს ვაწვალებ, და მახსენდება საშინელი, საზარელი სიტყვა „ჩამომალაბორანტეს...“ არა, ეს მაინც ვის გადავაწყდით, ჩამევლო ჩემთვის, არხეინად, რა იქნებოდა, თუმცა, რა ვიცოდი, ახლა კი გვიანღაა - ხელმძღვანელია დაინტერესებული, მაგრამ, მგონი, ისიც ნანობს, აქ რომ მოვიდა და მაინც, ასე ამბობს, ენერგიულია, დალოცვილი:

- ლიტერატურას როგორ შეარჩევდით?

- თავიდან? როგორც უნდა, ჯანდაბას, თვითონ შეირჩიოს, იქნება ეს სკეტჩები, სიმენონი თუ დასტად აკინძული ჟურნალი „ნიანგი“, ისე კი, ჟიულ ვერნით დაწყება ყველაფერსა სჯობს, მთავარია, ჯერ მაგიდასთან ჯდომა ისწავლოს, ფეხების ხან სკამქვეშ შეკეცვა, ხან კი - გაშლა, წიგნის გადაფურცვლა ისწავლოს, სარჩევის თვალიერება, მერე თანდათან მივაწვდით... აბა, კლიმ... ჰო, „სამ მუშკეტერს“, მარკ ტვენს, რომელიც რა ვქნა, მომკალი და არ მიყვარს, ო ჰენრის, მერე წამოვიდოდნენ უფრო სერიოზული მწერლები, კლიმ, ორი კაცი მომაწოდე... მშვენიერია - ჯეკ ლონდონი, რომელიც ორმხრივ დააინტერესებს და რა თქმა უნდა, შეიძლება ჰიუგოს პროზაც, რომანტიულს რომ ეძახიან, სწორედ ისაა და თან ოდნავ ძნელი წასაკითხი, მერე კი ცოტას ამოვასუნთქებდი, „უთავო მხედარი“, „აივენგო“, ვთქვათ... და მოდი, კლიმ, ახლა კი ვუბოძოთ ის დიდი მწერლები, რომლებიც საოცრად ადვილად იკითხებიან... ჰოო, მერიმე, ჩეხოვი... ერთიც! სწორია, სწორი - ესე იგი. მივცემდით მერიმეს, ჩეხოვსა და მოპასანს, შემდეგ კი რისკის დროც დადგებოდა, რაიმე ძნელი, ოღონდ რომანი არა, ნამეტანი იქნება - ჯერ მოთხრობა შევუგდოთ, კლიმ... აჰ, არა, არა, რა დროს მაგისი „სიკვდილი ვენეციაშია“, რას

ამბობ, კაცო... მოკლედ დაიმე ისეთი, და მერე ისევ შედარებით ადვილი, შედარებით-მეთქი, ოდნავ ძველმოდური... ჰოო, თუნდაც დიკენსი...

- ოო, დიკენსი კარგია, კარგი, - უხარია ხელმძღვანელს, - დავიდ კოპერფილდი.

- ვითომ? - აგდებულად შესცქერის რესპონდენტი, მაგრამ ხელმძვანელი ისეა გახარებული, ვერაფერს ამჩნევს. ამბობს: - რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, კარგი, ჩრდილში, ხანდახან დიკენსი...

- ხანდახან დიკენსი და აქა-იქ ტოლსტოი, არა? - დამცინავად უყურებს კლიმი, პატარა, კრუხის პალო, ლაწირაკი, რესპონდენტი კი ამბობს:

- მწერლების ჩამოთვლას აღარა აქვს აზრი, სავსებით საკმარისია... ახლა მხოლოდ სახეზე უნდა შევხედოთ ჯეელს. როგორი გამომეტყველებით კითხულობს... და თუ საკმარისადაა ჩაფლული, გავუშვებთ.

- როგორ მიხვდებით?..

- გამომეტყველებით.

- მერედა, რა გამოვა ამით?..

- ვისგან?

- თქვენი ჯეელისგან?..

აქ კი რესპონდენტი საზეიმოდ აცხადებს:

- რა გამოვა, და... რომელიმე კლიმი!

პატარა ხანს ჩუმად არიან, მერე კი ხელმძღვანელი ჯიუტად განაგრძობს:

- და ამით რაღა გამოვა?..

- რომელიმე კლიმისაგან? მეტი რაღა უნდა გამოვიდეს, დალოცვილო - მივიღებთ ადამიანს, ვისაც ძლიერ უყვარს ლიტერატურა.

- ლიტერატურა, ლიტერატურა, - ღიზიანდება ხელმძღვანელი, - დიდი ამბავი!..

- რაო? რა? - ყურს არ უჯერებს განცვიფრებული რესპონდენტი, - ნუთუ ამის ახსნაც საჭიროა?

- სცადეთ, - მე გისმენთ.

- ვცადო? - დაფიქრებული ამბობს რესპონდენტი, თვალებში უყურებს, - ვცადო? მაშინ, ჯერ მარტივად აგიხსნით - ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი, და, სხვათა შორის, - აქ ეღიმება, - მე თანდათან უფრო ვრწმუნდები, რომ ადამიანისათვის საჭიროა ჭკუა... - და სახე უმკაცრდება, - ეს, როგორც მოგახსენეთ, მარტივი ახსნაა, მაგრამ ესეც საკმარისია - უკეთესი ხდები... ახლა კი შედარებით რთულად აგიხსნით...

ოთახში ბოლთასა სცემს... მიდი-მოდის... დადის...

აჰ - სიჩუმეა.

12

- ქვეყნად არსებულ ხმაურთაგან ერთს გამოვყოფდი - ხმადაბლა, კრძალვით ამბობს რესპონდენტი, - ყველაზე საშინელს, უსიამოს, გულდამწყვეტსა და ვინ იცის, კიდევ რა - ესაა პირველი გორახის დაცემა საფლავში ჩადგმულ კუბოს სახურავზე, გაგახსენდათ, არა? ყრუ

ხმაურია, საზარლად ფშვნადი... ესეც არ იყოს, შეუძლებელია, ხანდახან ძილი არ გაგიტყდეს და, ბნელი ღამით, უეცრად დაღვიძებულს, უცნაური, განსხვავებული სიცხადით წარმოგიდგება სიკვდილი, რომელიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ და, მოვა... ეს ერთადერთია, ერთადერთი, რაც დანამდვილებით იცი, მაგრამ დღისით, მზისით, ოჰოჰო, ხალხში, უჰ რა გულზე ხართ, ფრუტუნით იბანთ პირს, საუზმობთ, და შებოლილ ძეხვს ისე ღონივრად ღეჭავთ, თითქოს რკინა იყოს, ერთმანეთს ხვდებით და ზოგი - უფროსი ბრძანდებით, ზოგიც - უმცროსი, არ არსებობს მხოლოდ ტოლი, ეს თქვენთვის, უმეტესობისათვის, მისალოცთათვის - „მისალოცი“, ხომ იცით, ჩემებურად რასაც ნიშნავს - ვისაც პირველად წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა აქვს და მე და კლიმი კი, აბა, რამ გაგვყო, მიწოდეთ მე თუნდათ ფოტოკაბინეტის მთავარი დირექტორი და იმას - თანაშემწე, მაინც ერთნი ვართ, რადგან: ჩვენ ძლიერ გვიყვარს ლიტერატურა, და თქვენგან, მისალოცთაგან განსხვავებით, დაწინაურებას სულაც არ ვცდილობთ, და სიკვდილისაც ნაკლებად გვეშინია, რადგან მრავალჯერ მოვმკვდარვართ და ყველაფერი, აჰ, ყველაფერი გამოგვიცდია - მეფედ ვუკურთხებივართ, სიკეთისთვის ხის ხმლით გვიბრძვია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხანაც - ეკალი, სქელი ხალიჩაც გაუშლიათ ჩვენს სავალ გზაზე, ყვავილ-მოყრილი და ნაკვერჩხლებზეც შიშველი ფეხისგულებით გვივლია... ქარაფშუტულად გვიქაქანია, მოცლილნი, ენას ვატლიკინებდით და ესეც მომხდარა, ბაგედახშულთ, უთქმელთ, დიდხანს გვიტარებია უცხო საიდუმლო, ეჰ, ის ხმაური მაინც გვესმოდა... და ბევრი, ბევრი სიცოცხლე გვინდოდა, ბევრნაირი, სხვადასხვა და ჩვენ-ჩვენს ოთახებში, მაგიდისაკენ თავდახრილნი, ათასნაირი სიკვდილით მოვმკვდარვართ, - ზღვაში ჩავძირულვართ, ქუსლში დავჭრილვართ, გილიოტინაზე ავსულვართ, ფათერაკგადახდილნი, საწოლში მშვიდად გარდავცვლილვართ, დავღუპულვართ გარშემორტყმულნი, კატისთვალება ვაჟკაცის - ელ სორდოს გვერდით, სხვაც მოგვიკლავს და მერე გვინანია, ოოო, რა უცნაურად... როგორ... მიწისთვის გვიკოცნია და მისი წმიდათაწმიდა ნამცეცები აგვყოლია ტუჩზე, შურის საძიებლად ავმხედრებულვართ, გვივლია, გვივლია, გვიწანწალნია დაკლაკნილ გზებზე, წვიმა გვინახავს - ჰეე, ბევრნაირი, და მაინც, კლიმ, მგონია, რომ ყველაზე უკეთ ბუნინთან წვმიდა, თოვლად მოგვსვლია მსუბუქი სევდა, და ყინვა - მჭახე, კრიალა, გლუვი... ის ხმა კი, ის ხმა მაინც გვესმოდა, დილაადრიან გამოვდიოდით, სისხამი დილით ქუჩებში მუდამ უცნაური ხალხია - მათ გამოუძინებელ, მოწყენილ სახეებზე მაინც იგრძნობა რაღაც სურვილი, ბუნდოვანი ძალა, იმედად გვეწვეთება ვიღაცის „გაუმარჯოს“, და ქუჩაში უმიზნოდ, უმიზეზოდ დახეტიალობ, რადგან ყველაფერში - დაბნეულად შეყვარებული ხარ, ადამიანის ფასიც იცი და გახსენდება, მაინც რომ აუცილებელია ხანდახან სიმარტოვე და რომ შეიძლება ხანდახან ქალაქგარეთ გასეირნება, რომ კიდევ არსებობს ღულელებისა და ნიჩბისის ტყე, და ღრმა გამოქვაბულები, სადაც შეგიძლია დიდხანს იჯდე, მოკუნტული, სიბნელესა და სინოტივეში და მერე, გამოსვლისას, მზის ძალუმ შუქზე თვალები ახამხამო და, ხელმეორედ დაბადებულმა, გაიფიქრო რომ ქვეყანა - დიდია და მშვენიერი, და როცა ათასგვარ სიკეთეს იგემებ, დაწყებულს უბრალოთი, როგორიცაა, ვთქვათ, გაგანია სიცხეში ზღვა და გათავებულს ზოგადი, ჭეშმარიტი ბედნიერებით, რომლის გამხელაც ბოდიში და, არ შეიძლება - თვითონ უნდა მიხვდეთ და, მიმხვდარი, შეიძლება პირქუშიც გახდე, მაგრამ ეს - სიყვარულის სიპირქუშეა, ეჰ... ოკეანე ხარ, დიდი, მოქნილი თევზებით სავსე, ხან - გაცოფებული, თავსდატეხილ გრიგალებს უყეფ, ხანაც - მშვიდი, ბლანტე და ფსკერზე ზარმაც ფიქრებად

ირხევიან ფერად-ფერადი მცენარეები, ოკეანე ხარ, მზეზე იზმორები და ღამით, უნებურად გაღვიძებული, ისევ სიკვდილზე ფიქრობ და გრძნობ, რომ მუდამ ორთქლდები, რომ აუცილებლად დაიწრიტები და შენი თევზებიც სულს დაღაფავენ... მაგრამ როგორც არ უნდა მოიწყინო, გაიტეხო გული, შენს ჯიუტ თევზებს საკვები მაინც უნდათ და ისევ დავბოდიალობთ ქვეყნად, ამ დალოცვილი დედამიწის ზურგზე, რა არ გადაგვხდენია და, ღმერთო ჩემო, სულ რომ არაფერი, რამდენი ქალი გვყვარებია, ვინაა ჩვენთან მარანია და ტენორიო, რადგან მთავარი დონ ჟუანები - ეს ჩვენა ვართ, მე და რომელიმე კლიმი - დონ ჟუან მკითხველები, ჰეეი, ვინ არ გვყვარებია, რანაირიღა ქალი - ნატაშა, ლაღი, პირველ სამ წიგნში თავდავიწყებით, მეოთხეში კი, რა ვქნა და - აღარ, სონეჩკა მყვარებია, უსპეტაკესი, ლაფში ამოსვრილი, ტონკა, უტყვი, უთქმელი, შორეული და მაინც ისე, ისე ახლობელი... ემე თანატოგენოსი - ყველაზე მტკივნეულად და ემა ბოვარიც კი, ის საძაგელი... ანტონია, ჩემი საბრალო, ყველაზე უცნაურად, ყველაზე მწვავედ და სელინა, კვამლში აცეკვებული... კლაუდია, ქალბატონი შოშა, ოო, ამაყი და პილარი, ოღონდ ტერნერა, საშიშ წკვარამში, იმ ბოლის სუნით... და მზია, მზია ჭინჭარაული, ხევსურის ქალი, ეჰ, მე კი არა, კიბეს, კედელსა და სკივრსაც უყვარდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი... სად არ ვყოფილვარ, მისალოცებო, რა არ მომივლია, გაღუნული დანით - მაჩეტეთი ეკლიანი ბუჩქები - კაატინგა მიკაფია, ოკეანეში თეთრ მტრედს დავდევდი, მგონი, მიყვარდა, მთათა მწვერვალზე მიოცნებია და ამისათვის ოო, როგორ ვუწამებივართ, კატას - ცხრა სიცოცხლე აქვს, მე კი, ვისაც ასე მიყვარს ყოველივე ეს, ჰეე, რამდენი, რამდენნაირი სიცოცხლე მინახავს და თქვენ კი, მისალოც ინტერვიუერებს, გაინტერესებთ თუ რამდენ წუთს ვკარგავ ვერმიშელის რიგში, მე კი სწორედ მაშინ, ვინ იცის, სად და როგორ დავბოდიალობ - დიდებული რამაა თვალი, მაგრამ სულ სხვაა ფანტაზია, ასყურა და ასთვალიანი და კაცი ვერ იტყვის, თუ ვინაა ჭეშმარიტად ნამყოფი პერუსა და ნიგერიაში, მე, თუ რომელიმე ჩიბუხგაჩრილი ლოცმანი, რომელმაც გემით მთელი მსოფლიო შემოიარა.

- ნიგერია საიდანღა იცით? - ჯუქურ ეკითხება ხელმძღვანელი, მგონია, რომ სიტყვაზე გამოიჭირა, მაგრამ რესპონდენტი ამბობს:

- ნიგერიაში, საყვარელო, სამი კარგი მწერალია - შიიონკა, ჩინუა აჩებე და გაბრიელ ო\\\'ხარა.

არაა, ამასთან არ შეიძლება ლაპარაკი, და თუმცა ხელმძღვანელი აღარ მიბღვერს და თვალსაც კი მარიდებს, მაინც ვგრძნობ, რომ გაცეცხლებულია და ისევ მახსენდება ის საზარელი „ჩამომალაბორანტეს“, კაცი კი, ვითომ აქაო და არაფერი, ისე განაგრძნობს:

- იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი - ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს

- სასწაულია და მეტსაც გეტყვით, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე ინება.

- რა ინება? - ამბობს ხელმძღვანელი, დაბნეულია.

- იყო ტომარაში.

- რატომ ინება?..

- იმიტომ, რომ აღწერა, - უხსნის რესპონდენტი.

მერე კი ამბობს:

13

- არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრეთ წოდებული პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი - მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი - შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე, ამამაღლებელი, გესმით? ოო, რა სიამოვნებით გამოვამწყვდევდი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში, რადგან თავისუფლებისადმი გარკვეული მისწრაფება აქვთ, იმათ კი მსხვილ-მსხვილ ვაჭრებს მივაყოლებდი, პატარა ვაჭრუკანებს კი არა, არამედ მსხვილებს, მსხვიილებს, და თუ იცით, რატომ? აჰ, რარიგ მიყვარს ისინი, და როგორი გულშემატკივარი ვარ მათი, თქვენ ხომ არ იცით. ნუ მიგაჩნიათ ისინი ბედნიერებად, და რაც მთავარია, ძვირფასებო, ნუ გშურთ იმათი - რაც არ უნდა მაღლა ასწიონ ცხვირი, რაგინდ თავხედნი და გაბღენძილნი იყვნენ, მაინც ყЧ?არა, გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცით... ნუ გშურთ იმათი ნურც იშვიათი საჭმელ-სასმელი, როცა, საფუძვლიანად დანაყრებულთ, ბუნდოვნად ხახვი და პური ენატრებათ და ვერც კი ხვდებიან; და ჩვენ, მკითხველებს, არც იმათი ქონება შეგვშურდება, რადგან დონ კიხოტი უფრო რეალურია, ვიდრე ყველა ბეჭედი და შკაფი-მაფი დედამიწის ზურგზე, რადგან დონ კიხოტი - იდეალურია... ისე კი, სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და ფიზიკოსები თუ ვერასოდეს შექმნიან „პრეპენტუუმ მობილეს“, ლიტერატურამ უკვე შექმნა - ეს სწორედ „დონ კიხოტია...“ იმიტომ კი არა, რომ უფრო ადვილია, არა - უბრალოდ, ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს

მეტი, ვიდრე ათასნაირ ლაბორატორიებსა და დანადგარებს, ჰოდა, იმას მოგახსენებდით, მოვათავსებდი მსხვილმან-მსხვილმანებს ჩემს კარცერ-ლუქსში, სულ ანა-ბანათი დავაწყებინებდი - იმიტომ კი არა, რომ არ იციან, არა, თანმიმდევრულ მეთოდშია საქმე - და იქამდე მეყოლებიან გამოკეტილნი, სანამ „შვლის ნუკრის ნაამბობის“ კითხვისას შვლის მწვადი კი არ გაახსენდებოდათ, არამედ სულ სხვა რამ, უფრო მთავარი... და არ გეგონოთ, რომ კარცერ-ლუქსთა ფინანსური საკითხი არ მაქვს გადაწყვეტილი - სხვადასხვა „დოსააფებთან“ და საწევროებთან ერთად შემოვიღებდი გადასახადს კარცერ-ლუქსთათვის, ეს იქნებოდა ჭეშმარიტად ნებაყოფლობითი, თვეში - მანეთი, და ერთის მხრივ ეს არც ისე ბევრია, რადგან თვეში მხოლოდ ერთ ბოთლ ცუდ ღვინოს უდრის - ქართველი კაცისთვის, დიდი ამბავი... და შეიცნობდნენ, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ, დიდ მწერლებს...

- ჯერ ეს ერთი, - აწყვეტინებს ხელმძღვანელი, გაღიზიანებულია, - რა იცით თქვენ, რომელია დიდი მწერალი და რომელი - არა? ამის გაგებას ხანდახან საუკუნეები სჭირდება!

- ოო, ეს ნამდვილად კარგი შეკითხვა იყო, სრულიად ბუნებრივია თქვენი ინტერესი, ახლავე აგიხსნით... საიდან დავიწყო... რაღა თქმა უნდა, არიან სუსტები, თავ-თავიანთი უსიცოცხლო, უცხვირპირო პერსონაჟებით, რომლებიც ისევე ზედმეტნი და არაფრისმაქნისნი არიან ჩვენთვის, როგორც... რაიმე ახირებული შედარება, კლიმ... ოო, შენ რა გითხარი - ზედმეტნი, როგორც ჭეშმარიტი ვაჟკაცისათვის ცუდი გინეკოლოგი, ეს რა მოიგონე, შენ რა გითხარი, კლიმ... რასაკვირველია, როგორც ყველგან, მწერლებშიაც გვხვდებიან სპეკულანტები, ადვილ და მომგებიან, კარგბეწვიან ნადირთა მხოცველნი, როგორიცაა სხვა, და სხვა, მაგრამ თუ ნამდვილი მკითხველი ხარ, მშვენივრად მიხვდები, რომელია უფრო ძნელი და რომელი - მომგებიანი, ადვილი თემა, რადგან არსებობს მწერალი - ვაჟკაცი, რაღაცნაირად დინჯად თავზეხელაღებული, ეს უცნაური მომთვინიერებალი, რომელიც ლომს ხახაში თავს უყოფს, და აგერ, სხვა მომთვინიერებლებიც - რგოლში ახტუნებს პატარა, ჩახუჭუჭებულ, ყელბაფთიან ძაღლებს, და არიან სხვა, ჭეშმარიტი მომთვინიერებლებიც - მგლის გახედნა, უბრალოდ, შეუძლებელია, და ისიც საქმეა, მგელს პატარა ხნით კუდზე სტაცო ხელი, ვიდრე ლომს ხახაში თავი შეუყო და მერე რა, მგელს შეჭიდებული კაცი ხანდახან ჩამოფლეთილი, მათხოვარივით ჩამოძენძილი და გაძევებულიც რომ ყოფილა და ძაღლის გამწვრთნელებს კი მამაც ჰუსართა ბრჭყვიალა ტანსაცმელი აცვიათ ხოლმე, და თუ მწერლის ჩემეული იდაელიც გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ესაა მგელზე ამხედრებული ამაყი გლახა, არწივით მხარზე - ისიც არ იწვრთნებაო ამბობენ... დაბოლოს, მარტივად და გასაგებად გეტყვით, რომ დიდი მწერალი ისაა, ვინც დიდ ნაწარმოებს წერს.

- და მეორეც ერთი, - კვლავ აწყვეტინებს ხელმძღვანელი, გაბრაზებულია, - რა იცით თქვენ, რომელიც დიდი ნაწარმოები და რომელი - არა?

- მე, საყვარელო, - უცნაურად უღიმის რესპონდენტი, - ჩემი იშვიათი ფიქსატორი მაქვს, რომელსაც ვერც ერთი უზუსტესი ხელსაწყო ვერ შეედრება - როცა ნამდვილად ღირებულ რაიმეს წავიკითხავ, იქნება ეს ნაწარმოები მთლიანად თუ ერთი პატარა ეპითეტი ან შედარება, ვიმეორებ, თუ მართლა კარგი და ღირებულია, მაშინ მარცხენა ხელზე, მაჯიდან იდაყვამდე, აუცილებლად დამბურძგლავს... რა, არა გჯერათ? - და რესპონტენტი პერანგის სახელოს მაღლა იწევს, ამბობს: - „დონ კიხოტი“, - მკლავს გვაჩვენებს და, სიმათლე - სიმართლედ: დაბურძგლულია...

- აი, თქვენ, მაგალითად, - სხვა შეკითხვას აძლევს ხელმძღვანელი, - ჩემთვის გაუგებარი პრინციპებით ხელმძღვანელობთ - მწერლების დასახელებისას, ანდა იმ ვითომცდა საყვარელი ქალების ჩამოთვლისას რა წესით სარგებლობთ, მაგალითად, იცავთ თუ არა ქრონოლოგიას, როგორც ასეთი, ანდა - ალფავიტს... ა?

- ღმერთო, ეს რა თქვა, - შუბლზე ხელისგულს ტკაცანით ირტყამს რესპონტენტი, - როგორ, საიდან სად - სიყვარული და... ალფაბეტი?! დეე-და, დედა... ეს რა მისალოცი ყოფილა, ვიღაცაა, არა, კლიმ?

- მისალოცი კი არა, ჰაერშია ასაგდები, ოლიმპიური ჩემპიონივით, - ამბობს კლიმი.

- ცოტა არ იყოს, თავაზიანობას მოვითხოვ, - ამბობს ხელმძღვანელი, განრისხებულია, - რა გააჭირეთ, ბოლოს და ბოლოს, ამ თქვენი ლიტერატურით საქმე, ასე მეც შემიძლია გაგაკვირვოთ და აბა, მიპასუხეთ, რა გსმენიათ ჩემს სპეციალობასა და მის ბრწყინვალე წარმომადგენლებზე, აბა, ვინ იყვნენ ემილ დურგჰაიმი და მაქს ვებერი, ანდა პარსონსი და მერტონი, რა გსმენიათ პარეტოსა და ფონ ვიზეზე, - ეშხში შედის ხელმძღვანელი, მიხარია, - ანდა, ვინ იყვნენ შეპანსკი, ბეკერი და პიტირიმ სოროკინი?

- კი ბატონო, ლიტერატურა განზე გადავდოთ, - ამბობს რესპონდენტი, - თქვენ სულ დაგავიწყდათ, რომ მე ლიტერატურათმცოდნე კი არა ვარ, არამედ - ფოტოგრაფი, და მაგ რიხით დასახელებულ გვარებს ფოტოგრაფიის კორიფეთა ჩამოთვლით გაგიბათილებთ: რა გსმენიათ, მაგალითად, დიდ ლუი დაგერზე, ანდა რას მეტყვით კარლ ცეისისა და იოფისის მიღწევებზე, რა კავშირია, თუ იცით, ფოტოგრაფიასა და პოლიგრაფიას შორის და აბა, ერნსტ ლეიტცმა რა გამოიგონა? როგორი ყოვნით უნდა გადაიღოთ სურათი თუნდაც აი, ასეთ ამინდში და მაქს ალპერტზე რა აზრის ბრძანდებით? ანდა როდჩენკოს, მიკულინისა და ოცუპის რომელი ნამუშევრები მოგწონთ... - და შემპარავად ეკითხება: - ა?

აქ კი ხელმძღვანელმა მეხუთედ დამიბღვირა. უუჰ, რა სიტყვაა - „ჩამომალაბორანტეს...“

- და მაინც, მაინც იძულებული ვარ, სიმართლე გითხრათ, - დანაღვლიანებული შესცქერის რესპონდენტი, - ჩემი კარცერ-ლუქსების რეალობისა მაინცდამაინც არა მჯერა, იმიტომ კი არა, რომ ღირსი არაა - არა... და ისიც სიცრუეა, რომ თუ ბევრს ნახავ და უამრავი რამ გადაგხდება, სიკვდილის აღარ შეგეშინდება - პირიქით, უფრო გაგიძნელდება სიცოცხლესთან განშორება, მაგრამ ის მაინც გეცოდინება, სავსე ცხოვრება რომ გქონდა, ნაწანწალი და ყოვლის მნახველი... და ჩემისთანამ სიკვდილის წინ, უღონომ, სარეცელზე, შეიძლება ასე წარმოთქვას: „ეჰ, კარგი იყო, ოხერი...“ და თქვენისთანამ კი ჯანმრთელმა, შესაძლოა ნიშნის მოგებით მკითხოს: „რა - სიცოცხლე თუ ლიტერატურა...“ მე კი, გაინტერესებთ, რას გეტყვით?

- რას მეტყვით?.. - ეკითხება ხელმძღვანელი, აფორიაქებულია.

- მე კი მოგიგებთ: „და განა სულერთი არ იყო?“

- კარგი ხართ, მაესტრო, - აღფრთოვანებულია კლიმი, რესპონდენტი კი განაგრძობს:

- მე მაინც ვცდილობდი, ბოლომდე არ მეგრძნობინებინა თქვენთვის, მისალოცთათვის, ჩემი უპირატესობა და პოეზიაზე კრინტიც არ დამცდენია - გიფრთხილდებოდით... ეს იმიტომ რომ, ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ რუკაზე ერთ-ერთი დიდი, ძლევამოსილი სახელმწიფოა...

- პოეზია, პოეზია, - დიდი ამბავი, - ამბობს ხელმძღვანელი, - ლაქები აყრია სახეზე.

- ქალაქში, მტვერში, წაიქცა ბავშვი, - ჩურჩულებს რესპონდენტი, - რა უნდა იყოს ამაზე საზარელი, ამაზე იდუმალი რამ...

- წაიქცა, წაიქცა, - ინადით იძახის ხელმძღვანელი, - დიდი ამბავი, თუ წაიქცა... წაიქცა და კეთილი გამვლელები კვლავ წამოაყენებენ... ბავშვობაში ვინ არ წავქცეულვართ, მაგრამ დადებითი გამვლელების მეშვეობით ისევ წამოვმდგარვართ, დიდი ამბავი...

- ღმერთო, ეს რა თქვა! - ხელები ჭერისაკენ აქვს აპყრობილი რესპონდენტს, - გაიგე, კლიმ? ღმერთო, ეს რა საშინლად ახსნა... და მღელვარედ ეკითხება: - შეგიძლიათ თუ არა, კვლავ გაიმეოროთ ეს?

- რატომაც არა! - არ იხევს ხელმძღვანელი, მაინც შეუპოვარია, ჯიქური.

- კლიმ! გევედრები, კლიმ, ოცდასამ ნომერში მიირბინე, ვანოსთან, შინ თუ არ დაგხვდა, აჰა, ჩემი პასპორტი წაიღე და გირაოდ დაუტოვე ვინმეს, ეგებ მაგნიტოფონი გვათხოვონ, სულ ათი წუთით, ეს წინადადება ჩავიწეროთ და მაშინვე დავუბრუნებთ, კლიმ, გაიქეცი, აჰა, პასპორტი, - უცნაურად აღტყინებულია, მაგრამ თითქოს ხუმრობს კიდევაც, - მაგნიტოფონი! ნახევარ სამეფოს მაგნიტოფონში ვაძლევ, კლიმ, მაგნიტოფონში, ეს რა თქვა, ღმერთო, დადებითი გამვლელების მეშვეობითო, აბა, გაფრინდი...

- ტყუილად ნუ შეაწუხებთ, - ამბობს ხელმძღვანელი, ხმა უკანკალებს, - ახლავე წავალთ.

დგება, მეც ვდგები, კარისაკენ მივემართებით, ჰალსტუხებს ვისწორებთ, პალტოებს ვიცვამთ, პერანგისამარა რესპონდენტი კი დარჩენას გვევედრება, ლამისაა, გალოიგლოჯოს ყელი, მაგრამ ხელმძღვანელი შეუვალია, სახელურისაკენ მტკიცედ მიიწევს, მეექვსედ მიბღვერს, რესპონდენტი კი, ჰოიი, თავხედი, ახლა სურათის გადაღებას გვთავაზობს: „თქვენი ჭირიმეთ, მაშინ სურათი მაინც გადაიღეთ, ეს ჩემი კოლექციისათვის საუკუნის სურათი იქნება - აურელიანო-სქელი - გასქელებამდე და პოლკოვნიკი ჯანჯაკომო სემინარიო - ერთად!“

ხელმძღვანელი კი გაცოფებულია, უხეშად იცილებს მუდარადქცეულ კაცს, ის კი სამფეხა აპარატს ჩვენსკენ ატრიალებს, მაგიდასთან მირბის ფირის ასაღებად, მაგრამ ხელმძღვანელი ეუბნება: „ჩვენ არ გვსურს, არა, გესმით?“ და რკინის თითებს მარწუხებივით უჭერს მაჯაზე. კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ტკივილისაგან ეღრიცება სახე, ფირი ისევ მაგიდაზე ეცემა, მე და ხელმძღვანელი კი, არა, ჯერ ხელმძღვანელი და შემდეგ - მე, ქუჩაში გამოვდივართ, და კაციც მოგვდევს, აპარატით ხელში, ეს, რა თქმა უნდა, ის დიდი სამფეხა აპარატი არაა, ესაა რომელიღაც ჩვეულებრივი, მომცრო აპარატი, „ფედი“ თუ „ზორკი“, რაღაცას ეძახიან, და ჩვენ გვიმიზნებს, ხელმძღვანელი პალტოს საყელოს მაღლა იწევს და სახეზე იფარებს, მე გაოგნებული ვდგავარ, ხელებჩამოყრილი, და ვღელავ, ვღელავ, საცაა - მთქნარება ამიტყდება, ხელმძღვანელი კი აგურის კედელთან მიდის და სახეს თითქმის ადებს, ასე დგას, აგურის კედელთან, ხელებაწეული - პალტოს საყელოს იფარებს ლოყებზე, და თავის მუქ სათვალესაც ცალი ხელით იკეთებს, კაცი კი, რომელსაც ლიტერატურა... და ასე შემდეგ, ეძახის კლიმს, კლიმიც, რა თქმა უნდა, სახეზეა, კაცი ფოტოაპარატს აწვდის კლიმს, და ჩემს ხელმძღვანელს, ისეთ ღონიერსა და ენერგიულს, მხრებზე ეჯაჯგურება -

შემობრუნებას უპირებს, თავისი ჭკუით... და მე კი ერთხანს მიკვირს, რომ ხელმძღვანელი, ნამდვილი ათლეტი და მრისხანე თანაც, რატომ არ გაუქანებს და არ მიუფშვნის ყბას, მაგრამ მაშინვე ვხვდები, რომ არ შეიძლება დღისით, მზისით, შუა ქუჩაში რესპონდენტს ყბაში გლიჯო, რაგინდ არ უნდა გაგაბრაზოს, რადგან ეს - ინციდენტი იქნება ქუჩაში, ინციდენეტი კი, აბა, ვის აწყობს, და რესპონდენტი თუნდაც რეგისტრირებული გიჟი აღმოჩნდეეს, მაინც, სად წავა საქმე, ყველა გიჟს და სულელს ყბაში რომ ლეწო, რესპონდენტი კი ისევ ამაოდ ეჯაჯგურება და თუმცა პატარა, ვიწრო ქუჩაა, მაინც იკრიბება თითო-ოროლა გამვლელი, ფანჯრებიდან იყურებიან, ალბათ უცნაური შესახედავები ვართ: 1) მზის საწინააღმდეგო სათვალიანი ათლეტი, პირმიქცეული აგურის კედელთან, ხელებაწეული, 2) მისი პალტოს სახელოს დაჯაჯგურებული, ამ შუა ზამთარში პერანგისამარა კაცი, 3) მე, მღელვარებისგან მთქნარებაატეხილი ახალგაზრდა და 4) პაწია კლიმი, ცალ მუხლზე ჩაცუცქული და აპარატმომარჯვებული - შუა ქუჩაში! და უცებ ვხვდები, რასაც ფიქრობენ გამვლელები ჩვენზე, ალბათ ქურდი, ოხერი და სპეკულანტები თუ ვგონივართ, სულ მცირე - მოძრაობის წესების დამრღვევნი, თორემ ისე, სხვას აბა ვის უღებენ ძალისძალათი ფოტოსურათებს ქუჩაში და კლიმი, ჩაცუცქული, ჯიუტად იცდის, ხელმძღვანელი კი გამოსავალს პოულობს - ზურგშექცეული, კედელ-კედელ მიჰყვება ქუჩას, ჩვენი კომპეტენტური დაწესებულებისაკენ, მეც, მისი ხათრით, გვერდულად მივსდევ, და უცებ რესპონდენტის შემზარავი, ტრაგიკული ყვირილი გვესმის: „ვაიმე, კლიმი! ვაიი, კლიმს მანქანა დაეჯახა!“

შეშფოთებულნი ვტრიალდებით და სანამ გავარკვევდეთ, რაშია საქმე, ჩაცუცქული კლიმი ფეხზე დგება, რა მანქანა, რის მანქანა, კლიმი კი მზრუნველად კეტავს ფოტოაპარატს, რომლიდანაც ორიოდე წამის უკან გაისმა ჩვენთვის, მისკენ მიტრიალებულთათვის საზარელი, იმათთვის კი სასურველი „ჩხაკ...“ და, ოდნავ დარცხვენილნი იმით, რომ მაინც თავისი გაიტანეს, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და იმისი თანაშემწე, კლიმი, სირბილით ეფარებიან თვალს.

ეს ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ ხელმძღვანელმა დამიბარა და თქვა: „და ამიტომაც ხაზგასმული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის ტიპის დასახლებაში მცხოვრებ ადამიანთა თავისუფალ დროს, რომლის სფეროც განისაზღვრება, ჯერ ერთი, იმით, რომ წარმოადგენს ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ ფაქტორს, შედის რა კომპონენტად მისი ცხოვრებისა და მოქმედების კომპლექსში; მეეორე - რომ ასეთი გამოკვლევა გვეხმარება...“

ჩამომალაბორანტეს.

1973 წ.